ყოველდღიური გაზეთი

# ახალი თაობა

Akhali Taoba
akhalitaoba.ge

ოთხშაბათი, 12 სექტემბერი, 2018 №216 (7761) ფასი: 60 თეთრი

## მარგველაშვილი: „მოვახერხე, რომ „ოცნებას“ კანდიდატი არ დაესახელებინა, ზურაბიშვილი მეორე სერიაა“

გვ.2



# „ოცნება“ მარიხუანის ექსპერტზე გატანას აპირებს

გვ.3



## მიხეილ სააკაშვილი: „ივანიშვილი საქართველოს ნარკოჰაბად გადააქცევს“



## დავით ჭიჭინაძემ საპარლამენტო უმრავლესობა დატოვა

გვ.2



შეიქმნა თუ არა ახალი ფრაქცია

## მალხაზ მაჩალიკაშვილი: „საბოლოო იმედიც დავკარგე“

გვ.3



შვილმოკლული მამების შიმშილობა გრძელდება

## რა ხდება განათლების სამინისტროში

გვ.4




## სამართალი

გვ.7

თბილისის აეროპორტში ფსიქოტროპული ნივთიერების შემცველი მედიკამენტები აღმოაჩინეს



სარფსა და ქუთაისის აეროპორტში არადეკლარირებული ოქროს ნაკეთობები აღმოაჩინეს



ჯონაძე: „81 მოწმიდან მოიყვანეს 27 და დამალეს მთავარი“






სუს-ში „ბოტანიკური ბაღების მართვის ცენტრის“ საქმეზე ზუგდიდის მერი გამოკითხეს

## ეკონომიკა

გვ.6



გუკა რჩეულიშვილი: „ცენტრ პოინტი“ M2-სთვის საკუთარი აქტივების გადაცემას იწყებს“



რა შემოსავლებით დატოვეს თანამდებობა განათლების სამინისტროს ყოფილმა მაღალჩინოსნებმა

ბიზნესი ახალი საბაჟო კოდექსის შესახებ ინფორმაციას არ ფლობს



ISSN 1987-9385
9 771987 938006

2 ირაკლი კობახიძე: „პრორუსული ძალები ნამდვილად არსებობენ, თუმცა მათი გავლენები მცირდება“

5 ევროკავშირის „აღმოსავლეთ პარტნიორობის“ პროგრამა კითხვის ნიშნის ქვეშ დადგა

4 ლევან იზორია: „საერთაშორისო მისიებში მონაწილეობას ისევ მივიღებთ“

2 „ღიმილისმომგვრელია ბრალდებები, რომ ხელისუფლებას რომელიმე ტელევიზიის მითვისება სურს“

# დავით ჭიჭინაძემ საპარლამენტო უმრავლესობა დატოვა

## შეიქმნა თუ არა ახალი ფრაქცია

შორენა მარსაგიშვილი

**სკანდალური დეპუტატის, დავით ჭიჭინაძისა და კოლექტიური ზარდიაშვილების (ასე მონათლა ჭიჭინაძემ პარლამენტის თავმჯდომარე და მისი გუნდი) შერკინების პირველი რაუნდი დასრულდა. გამარჯვება კოლექტიურ ზარდიაშვილებად მონათლულებს დარჩათ.**

რამდენიმე თვის წინ მათ ჭიჭინაძე „ქართული ოცნებიდან" გარიცხეს. გუშინ, 11 სექტემბერს, მან საპარლამენტო უმრავლესობის გადაწყვეტილება მიიღო. ჭიჭინაძე ამბობს, რომ ის დამოუკიდებელი დეპუტატი იქნება.

პარტიიდან მის გარიცხვას დიდი პოლიტიკური ალიაქოთი მოჰყვა. ჭიჭინაძე აცხადებდა, რომ ის პარტიას არ დატოვებდა. ის იმაშიც დარწმუნებული იყო, რომ მისი გარიცხვის შესახებ გადაწყვეტილება ბიძინა ივანიშვილის გარეშე იქნა მიღებული.

კოლექტიური ზარდიაშვილების რისხვა კარგა ხანს ცდილობდა მთავარ მეოცნებესთან შეხვედრას. ეს შეხვედრა 10 სექტემბერს მოახერხა. ამ დღეს ივანიშვილი დახურულ კარს მიღმა საპარლამენტო უმრავლესობას შეხვდა.

საპარლამენტო უმრავლესობიდან წასვლის შესახებ პირველი განცხადება ჭიჭინაძემ ამ შეხვედრაზე გააკეთა.

მედიასთან საუბარში სკანდალური დეპუტატი ამბობს, რომ საპარლამენტო უმრავლესობის რიგებიდან წასვლის თაობაზე ინფორმაცია პარტია „ქართული ოცნების" თავმჯდომარეს, ბიძინა ივანიშვილს პირადად მიაწოდა.

გაირკვა, რომ ივანიშვილი ჭიჭინაძის „ოცნებიდან" გარიცხვის გამო შეძრწუნებული არ არის. როგორც ჭიჭინაძე ამბობს, ბიძინა ივანიშვილმა პარტიიდან გარიცხვის პოლიტსაბჭოზე გასაჩივრება ურჩია. ამის გაკეთებას დეპუტატი არ აპირებს.

ჭიჭინაძეს სულ სხვა გეგმები აქვს. კერძოდ, ის გეგმავს, რომ უმრავლესობიდან წასვლის თაობაზე განცხადება მომავალი კვირის პლენარულ სხდომაზე გააკეთოს.

— უმრავლესობის სხდომაზე მივედი, რომელსაც ბიძინა ივანიშვილი ესწრებოდა. გუშინ მივედი არა სხდომაზე დასასწრებად, არამედ ბიძინა ივანიშვილთან იმ თემებზე სასაუბროდ, რაც ბოლო პერიოდში მიმდინარეობდა. პირადად ბიძინა ივანიშვილს ორისამი წუთი ვესაუბრე, ჩვენი ურთიერთობა გავარკვიეთ. კერძოდ, პარტიაში ჩემს აღდგენა-არაღდგენის საკითხზე ვისაუბრეთ და ეს თემა დახურულია, — აღნიშნა ჭიჭინაძემ.





დეპუტატის თქმითვე, უმრავლესობის დატოვების ერთ-ერთი მიზეზი არის ის, რომ „ქართულმა ოცნებამ" საკუთარი საპრეზიდენტო კანდიდატი არ დაასახელა.

— ეს არასწორი გადაწყვეტილება, საზოგადოებისთვის თვალში ნაცრის შეყრაა. ადამიანმა, რომელიც საკითხს პრინციპულად არ ეთანხმება, უმრავლესობა უნდა დატოვოს. მიმაჩნია, რომ უმრავლესობა უნდა დავტოვო, ეს ჩემი გადაწყვეტილებაა. არ არის საჭირო, ერთი ადამიანის აზრი მთელ უმრავლესობას მოახვიო, — განაცხადა დეპუტატმა.

მას შემდეგ, რაც უმრავლესობა მის სურვილს დააკმაყოფილებს, ის საკანონმდებლო ორგანოში საქმიანობას დამოუკიდებელ დეპუტატად გააგრძელებს.

დავით ჭიჭინაძის აქტიურობას ასეთი გაგრძელება რომ ექნებოდა, ამას ყველა გრძნობდა. ირაკლი კობახიძე, მამუკა მდინარაძე და არჩილ თალაკვაძე მის ასეთ დამოუკიდებლობას დიდხანს ვერ მოითმენდნენ.

გიორგი კვირიკაშვილი სანამ იყო პრემიერი, კიდევ თავს იკავებდნენ, მაგრამ როგორც კი კვირიკაშვილი წავიდა, ჭიჭინაძეც თან მიაყოლეს. ეს უკანასკნელი ყოფილი პრემიერის გუნდის წევრად მოიაზრებოდა.

პარტიიდან გარიცხვამდე ჭიჭინაძე ფეისბუქზე არსებული ჯგუფიდან ამოშალეს, სადაც „ოცნების" დეპუტატები მითითებებს და დავალებებს ღებულობდნენ.

დავით ჭიჭინაძე ჯერ კიდევ ზაფხულში ამბობდა, რომ მოღვაწეობას დამოუკიდებელი დეპუტატის რანგში გააგრძელებდა. მან პარლამენტში ახალი ფრაქციის შექმნაც არ გამორიცხა.

გავრცელებული ინფორმაციით, საპარლამენტო უმრავლესობა შესაძლოა კიდევ სხვა დეპუტატებმაც დატოვონ. მეოცნებეთა ნაწილს უკვე ყელში აქვს ამოსული კოლექტიური ზარდიაშვილების დიქტატი.

დეპუტატები კერძო საუბრებში ამბობენ, რომ ყველაფერს ისინი წყვეტენ და უცხოურ ვიზიტებშიც ძირითადად ისინი დადიან.

უმრავლესობაში არც ის მოსწონთ, რომ კობახიძე დეპუტატების ქცევის კოდექსის შემოღებას აპირებს.

# მამუკა ბახტაძე: „არ ვფიქრობ, რომ ჩვენ ოლიგარქიული მდგომარეობა გვაქვს ქვეყანაში. მე ანგარიშვალდებული ვარ საქართველოს საზოგადოების წინაშე"

— მე არ ვფიქრობ, რომ ჩვენ ოლიგარქიული მდგომარეობა გვაქვს ქვეყანაში... მე ანგარიშვალდებული ვარ ამომრჩევლებისა და საქართველოს საზოგადოების წინაშე.

ამის შესახებ საქართველოს პრემიერ-მინისტრმა მამუკა ბახტაძემ საერთაშორისო კონფერენცია „მსოფლიო თავდაყირა — 2018"-ზე სიტყვით გამოსვლისას განაცხადა მმართველი პარტიის თავმჯდომარე ბიძინა ივანიშვილთან დაკავშირებით დასმული კითხვის პასუხად. მისივე თქმით, ქვეყნის მაჩვენებლები 2012 წლის არჩევნების შემდეგ არაერთი მიმართულებით გაუმჯობესდა.

— მე არ ვფიქრობ, რომ ჩვენ ოლიგარქიული მდგომარეობა გვაქვს ქვეყანაში. ბიძინა ივანიშვილი არის „ქართული ოცნების" დამფუძნებელი. ჩვენ 2012 წელს არჩევნები მოვიგეთ. საუკეთესო პასუხი იმაზე, თუ რა მოიტანა ჩვენი ქვეყნისთვის ამ დიდმა ცვლილებამ, არის საერთაშორისო რანჟირებები. როგორ გაუმჯობესდა ჩვენი რანჟირება ყველა მიმართულებით: მედია პლურალიზმი, ადამიანის უფლებები, კერძო სექტორის აქტივების საკუთრების დაცვა, გაცილებით უფრო მაღალი გამჭვირვალობა. შეგახსენებთ, რომ ბიუჯეტის გამჭვირვალობის თვალსაზრისით, ჩვენ ვართ ხუთეულში. რაც კვლევებს, საქართველო ნიდერლანდების, შვედეთის, დიდი ბრიტანეთის დონეზე დგას ძალიან ბევრ კვლევაში. ესაა კონკრეტული მიღწევები. ჩვენ ვართ სწორ გზაზე, დემოკრატიული ტრანსფორმირების გზაზე და ევროპული დემოკრატიის დამკვიდრების გზაზე, — განაცხადა ბახტაძემ.



მისი ამ განცხადების შემდეგ პრემიერს სიტყვა შეაწყვეტინეს და იქვე შემდეგი შეკითხვა დაუსვეს იმასთან დაკავშირებით, თუ ვინ არის მისი ხელმძღვანელი და ვის წინაშეა ანგარიშვალდებული.

— მე ანგარიშვალდებული ვარ ამომრჩევლების, საქართველოს საზოგადოების წინაშე და ეს მკაფიოა. დანარჩენი არის პოლიტიკური სპეკულაციები. მე ვფიქრობ, რომ ამ კითხვაზე საუკეთესო პასუხი იქნებოდა რეალური სტატისტიკა და რეალური ციფრები. ასევე, ჩვენი განვითარება საერთაშორისო შეფასებებში, — განაცხადა ბახტაძემ.

# მარგველაშვილი: „მოვახერხე, რომ „ოცნებას" კანდიდატი არ დაესახელებინა, ზურაბიშვილი მეორე სერიაა"

საქართველოს პრეზიდენტი გიორგი მარგველაშვილი „რეაქციის" ეთერში პასუხობს კითხვას, თუ რატომ თქვა უარი საპრეზიდენტო არჩევნებში მონაწილეობაზე.

მისი თქმით, მან აიძულა „ქართული ოცნება", საპრეზიდენტო კანდიდატი არ დაესახელებინა.

— მარტივად შევეცდები, ვთქვა, მქონდა კონკრეტული ვალდებულება, ეს სამსახური ბოლო წუთამდე მიმეყვანა, რაც კონსტიტუციით მაქვს მონიჭებული. მეორე პრეზიდენტობა ყოველთვის პრობლემურია პოლიტიკოსისთვის, მით უმეტეს, შეზღუდული ძალაუფლებით, გამოდიოდა, რომ ერთ მდინარეში შევდიოდი. ამის სურვილი არ მქონდა. ფიცი დავდე და ვემსახურე ქვეყანას. შეზღუდული უფლებებით იმავე როლში ყოფნა არ იქნებოდა პროდუქტიული, — განაცხადა გიორგი მარგველაშვილმა.

მისი თქმით, ის საპრეზიდენტო კამპანიისა და არჩევნების მოგების პრობლემას ვერ ხედავდა.



— პრობლემას ვხედავდი, რა უნდა გამეკეთებინა, იმ ფონზე, როცა პრეზიდენტს შეზღუდული უფლებამოსილება აქვს. მე მმართველი ძალა მივიყვანე იმ მომენტამდე რომ კანდიდატი ვერ დაასახელეს. ჩემი მიზანი იყო, კანდიდატურა არ დაესახელებინა „ოცნებას". სალომე ზურაბიშვილის დაყენება მეორე სერიაა, — თქვა პრეზიდენტმა.

* * *

ხელისუფლების შეუსრულებელ დაპირებებზე ისაუბრა გიორგი მარგველაშვილმა. პრეზიდენტის თქმით, იმაზე, რაც ქვეყანაში მედიასთან მიმართებითა და სასამართლო სისტემაში ხდება, პასუხისმგებლობა ეკისრება ხელისუფლებას.

— ექვსი წელი რომ ამას ლაპარაკობ და ამტკიცებ, მიშა ხომ ციხეში გაგდებდათ და მე არ ვაკეთებ და ამიტომ ვარ უკეთესი და როცა იმედის მომცემს არაფერს ამბობ, და როცა შენი პოლიტიკური დღის წესრიგი ჭორაობით არის სავსე და არა იმედის მომცემი ემოციებით... როდესაც შენარჩუნებულია თემა იმისა, რომ ბიზნესს შეიძლება პრობლემები შეექმნას, ის, რატომაც ქუჩაში დგას შვილმკვდარი მამა, როცა შენარჩუნებულია პრობლემები ეკონომიკასთან მიმართებაში, როცა პროპაგანდა შავი პიარი, შეთითხნილი პოლიტიკა შენარჩუნებულია, როცა არ განხორციელდა პოლიტიკური რეფორმები, თუნდაც საარჩევნო კოდექსთან მიმართებით და გვითხრეს დემოკრატია გექნებათ 6 წლის მერე, იდეალების ცვეთა ყოველთვის ხდება.. ამიტომაც არ ვამბობ, რატომ არ არის იაფი ფული, რატომ არ გაიაფდა გაზი, საწვავი... ამას კიდევ ობიექტური ახსნა შეიძლება მოეძებნოს, იტყვი რომ ვერ შევძელი, მაგრამ რა ვერ შეძელი, როცა პირდებოდი რომ არცერთ ტელევიზიას, არც ერთ ჟურნალისტს საფრთხე არ შეექმნებოდა, როცა უსამართლო სისტემაში იყავი, შენ თვითონ გაქვს ეს გავლილი, როცა უსამართლო ჩანაწერებს გიკეთებდნენ, ესეც რომ არა უშავს და მისაღებია...? ეს არ არის, რომ ვერ შეძელი და ვერ მოინდომე. პასუხისმგებლობა ყველას თავისი წილი აქვს, მეც მაქვს პასუხისმგებლობა, რომ რაღაც ვერ შესრულდა, ყველას თავისი კურატორი ჰყავს... — განაცხადა გიორგი მარგველაშვილმა გადაცემა „რეაქციაში".

# „ღიმილისმომგვრელია ბრალდებები, რომ ხელისუფლებას რომელიმე ტელევიზიის მითვისება სურს"



— ღიმილისმომგვრელია ბრალდებები, რომ ხელისუფლებას სურს თითქოს რომელიმე ტელევიზიის მითვისება, — აცხადებს უმრავლესობის ლიდერი თალაკვაძე ტელეკომპანია „იბერიასთან" დაკავშირებით. შეკითხვაზე, იკვეთება თუ არა დანაშაულის ნიშნები, როცა გავრცელებული ჩანაწერის მიხედვით ბიძინა ივანიშვილის დეიდაშვილი, უჩა მამაცაშვილი, პრობლემების მოსაგვარებლად 2 მილიონს ითხოვს, თალაკვაძე ამბობს, რომ კონკრეტული ბრალდებები კანონმდებლობის გადმოსახედიდან უნდა შეფასდეს და მას მხოლოდ პოლიტიკური შეფასების გაკეთება შეუძლია:

— ჩვენ არაერთხელ გვქონდა შესაძლებლობა და რესურსი შეგვექმნა ახალი მედია, განგვევითარებინა ის, მაგრამ მიგვაჩნია, რომ ეთიკის საკითხია, რომ სახელისუფლებო გუნდს არ ჰქონდეს თავისი საკუთარი მედია, ამიტომ ჩვენ ერთგულნი ვრჩებით მედიათავისუფლების, გვჭირდება კრიტიკული და დამოუკიდებელი მედია, — აცხადებს თალაკვაძე.

# ირაკლი კობახიძე: „პრორუსული ძალები ნამდვილად არსებობენ, თუმცა მათი გავლენები მცირდება"



— პრორუსული ძალები არიან ნამდვილად, მეტ-ნაკლებად გავლენიანებიც, თუმცა მათი გავლენები მცირდება.

ამის შესახებ საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარე ირაკლი კობახიძემ საერთაშორისო კონფერენცია „მსოფლიო თავდაყირა — 2018"-ზე შესაბამისი კითხვის საპასუხოდ განაცხადა. პარლამენტის თავმჯდომარის თქმით, 2012 წლის შემდეგ ამ ძალების გავლენები გაცილებით შემცირდა.

— ნაციონალური მოძრაობის ხელისუფლება ბიზნესს აყაჩაღებდა, ხალხს აწამებდნენ და თან ამბობდნენ, რომ პროდასავლური ძალა იყვნენ. სწორედ მაშინ ადამიანების ნაწილი დასავლეთის მიმართ გულაცრუებული გახდა და მომძლავრდა რუსული სენტიმენტები. 2012 წლის შემდგომ, მას შემდეგ, რაც პროევროპული „ქართული ოცნება" მოვიდა ხელისუფლებაში, ეს გავლენები შემცირდა, — განაცხადა ირაკლი კობახიძემ საერთაშორისო კონფერენცია „მსოფლიო თავდაყირა — 2018"-ზე შესაბამისი კითხვის საპასუხოდ.

ახალი თაობა

გაზეთი გამოდის 1993 წლის 23 ივლისიდან

დამფუძნებლები: ნინო ბაკურაძე, ზურაბ ბერიძე, სოსო გოგინაშვილი
მთავარი რედაქტორი — სოსო გოგინაშვილი
რედაქტორი — ლალი ასლანიშვილი
რედაქტორის მოადგილე — შორენა მარსაგიშვილი

კონსულტანტები
ოთარ ნინიაშვილი, დავით ყიფიანი
საფინანსო სამსახური — კლარა ბალავაძე

სარეკლამო სამსახური — 2-94-02-55
გავრცელების სამსახური — მერაბ ლევერაშვილი
დირექტორი — ზურაბ ბერიძე

მისამართი: ქ. თბილისი, ჩუბინაშვილის ქ. №50, მე-3 სართული.
ტელეფონი/ფაქსი 2–94-06-91
ვებ-გვერდი www.akhalitaoba.ge E-mail: axtaoba@mail.ru

რედაქციაში შემოსული მასალები არ რეცენზირდება და ავტორებს არ უბრუნდება. რედაქციის თანხმობის გარეშე გაზეთში დაბეჭდილი მასალების, სურათების და სარეკლამო განცხადებების სრული ან ნაწილობრივი გამოყენება აკრძალულია. სტატიაში გამოქვეყნებული მასალების სიზუსტეზე პასუხს აგებს ავტორი. საავტორო უფლებები დაცულია.

შორენა მარსაგიშვილი

# „ოცნება“ მარიხუანის ექსპორტზე გატანას აპირებს

## მიხეილ სააკაშვილი: „ივანიშვილი საქართველოს ნარკოჰაბად გადააქცევს“

**იხარე, ერო – საქართველო მარიხუანის წარმოებას იწყებს. ჩვენებური მარიხუანა მალე ექსპორტზეც გავა და, „ოცნებას“ თუ დავუჯერებთ, ის სამკურნალო მიზნებისთვის იქნება გამოყენებული.**

ეს გასაოცარი იდეა 10 სექტემბერს საპარლამენტო უმრავლესობის წევრებს გააცნეს. ისტორიული და მარიხუანით გაჯერებული სხდომა „ქართული ოცნების“ ოფისში 10 სექტემბერს გაიმართა.

ინტერპრესნიუსის გავრცელებული ინფორმაციით, შს სამინისტროს წარმომადგენლებმა დეპუტატებს საკანონმდებლო პროექტის სამუშაო ვარიანტი გააცნეს, რომელიც ექსპორტზე გატანის მიზნით საქართველოში სწორედ მარიხუანის წარმოების დაწყებას ითვალისწინებს.

პროექტის სამუშაო ვარიანტის მიხედვით, მარიხუანის წარმოება ლიცენზირებად საქმიანობად გამოცხადდება. ამასთან, მსჯელობის საგანია ვერსია, რომლის მიხედვით, გამოცხადდება საერთაშორისო კონკურსი და გამარჯვებული ლიცენზიანტი კონკურსის გზით გამოვლინდება. სავარაუდოდ, სალიცენზიო პირობებში განისაზღვრება საქართველოში მარიხუანის წარმოების არეალი და ექსპორტი – ამ საკითხთან დაკავშირებით მმართველ გუნდში ურთიერთგამომრიცხავ განცხადებებს აკეთებენ.

ჯანდაცვის კომიტეტის თავმჯდომარე აკაკი ზოიძე ადასტურებს, რომ მთავრობას უკვე მომზადებული აქვს საკანონმდებლო ინიციატივა, რომელიც საქართველოში მარიხუანის მოყვანას ლეგალურს გახდის. მისივე თქმით, მარიხუანის ექსპორტი საქართველოს დიდ შემოსავალს მოუტანს.

დეპუტატი ბექა ოდიშარია კი უარყოფდა, რომ შეხვედრაზე მარიხუანის საკითხი განიხილეს.

– ბუნებაში საკითხი, რომელიც არ განხილულა და გუნდის შიგნით არ ყოფილა ასეთი ტიპის საუბარი, ცხადია, ცალკეული ინდივიდის იქნება ეს დეპუტატი თუ საზოგადოებრივი მოღვაწე, ვფიქრობ, უადგილოა ამ ეტაპზე ასეთი ტიპის კომენტარების გაკეთება, – განაცხადა ბექა ოდიშარიამ.

განსხვავებული პოზიცია დააფიქსირა მწვანეთა პარტიის ლიდერმა და, იმავე დროს, მეოცნებე გია გაჩეჩილაძემ. ის ადასტურებს, რომ ამ თემაზე საუბარი მართლაც იყო.

მისივე თქმით, ამ შეხვედრას ესწრებოდა შსს-ს წარმომადგენელიც, რომელიც ამ ინიციატივის ავტორია.

– ვერსიების დონეზე არსებობს ასეთი რამ. შემოვა კანონპროექტი და ეს ყველაფერი იქნება ნათელი. უბრალოდ, ჩვენ ძალიან გაგვჭედა ამ საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილებამ და ახლა ამ ვაკუუმის შევსება გვიწევს, რომელიც ამ მარიხუანასთან არის დაკავშირებული და ძალიან ვამკაცრებთ ყველაფერს. მაგრამ, თვითონ რაც მარიხუანის კულტივაციას ეხება, აქ საუბარი იყო იმაზე, რომ შეიძლება ექსპორტზე გატანის თვალსაზრისით სამკურნალო მარიხუანის მოყვანა, – განაცხადა გია გაჩეჩილაძემ.

მითქმა-მოთქმას ბოლო შსს-მ მოუღო. უწ-



ყების ინფორმაციით, საქმე ეხება სამედიცინო და კოსმეტიკური მიზნით მარიხუანის მოყვანა-წარმოების საკითხს.

– მთავრობის მიერ მარიხუანასთან დაკავშირებით ინიცირებული საკანონმდებლო ცვლილებები ითვალისწინებს მარიხუანის გასაღების მკაცრ შეზღუდვას.

გარდა ამისა, შინაგან საქმეთა სამინისტროს მიერ მომზადებულია პროექტი, რომელიც მარიხუანის მოხმარებას მკაცრ სამართლებრივ ჩარჩოებში აქცევს და გარკვეულ ადგილებში მარიხუანის მოხმარებას ზღუდავს.

მთავრობა განიხილავს ექსპორტზე გასატანად სამედიცინო და კოსმეტიკური მიზნით მარიხუანის მოყვანა-წარმოების საკითხს. ნებისმიერ შემთხვევაში ქვეყნის შიგნით მარიხუანის გასაღება რჩება დასჯადი სისხლის სამართლის წესით, – აცხადებენ შსს-ში.

ქართული მარიხუანის ექსპორტზე გატანას ბევრი მოწინააღმდეგე გამოუჩნდა. მოწინააღმდეგეთა შორის აღმოჩნდა საქართველოს მესამე პრეზიდენტი მიხეილ სააკაშვილი.

ის ამბობს, რომ მისი პროგნოზი გამართლდა და ბიძინა ივანიშვილი ქვეყანას ნარკოჰაბად გადააქცევს.

– 10 სექტემბერს ბიძინა ივანიშვილმა შეკრიბა „ოცნების“ პოლიტიკური საბჭო და წევრები მოელოდნენ, რომ ივანიშვილი ილაპარაკებდა სალომე ზურაბიშვილზე, მაგრამ ის პირდაპირ გადავიდა საქმეზე. მან მოუწოდა თავის პარტიას, მხარი დაუჭირონ კანონს, რომლის მიხედვითაც საქართველო ხდება მარიხუანის მწარმოებელი ქვეყანა და მარიხუანა ხდება საქართველოს ერთ-ერთი მთავარი საექსპორტო პროდუქტი.

რას ვამბობდი მე რამდენიმე თვის წინ? რამდენი ჩემი პროგნოზი უნდა აგიხდეთ ასე ცუდად. მე ხომ ვამბობდი, რომ ლეგალიზაცია მას სჭირდებოდა იმისათვის, რომ რამდენიმე კვირით ადრე უჩა მამაცაშვილმა, მისმა დეიდაშვილმა ჩამოიყვანა ამერიკიდან ამის სპეციალისტები და საქართველოში უნდოდათ ნარკოკარტელის გაკეთება და ახლა აკეთებენ კიდევაც.

ჩემ დროს საქართველო ხდება რეგიონული ჰაბი ბიზნესის კულტურის, განვითარების, ლოგისტიკის, ახალი ტექნოლოგიების. ივანიშვილმა ყველაფერი ეს ჩამოაშორა და საქართველოს ქცევა უნდა ნარკოჰაბად, ნარკოკარტელის ქვეყნად, – ამბობს სააკაშვილი.

ის „ოცნების“ წევრებს მიმართავს და მოუწოდებს, რომ ქვეყანა ივანიშვილისგან იხსნან, რაც, მისი აზრით, ქვეყნის გადარჩენას ნიშნავს.

– მინდა ვუთხრა „ოცნების“ იმ წევრებს, რომლებიც 10 სექტემბერს იყვნენ პოლიტსაბჭოზე: თქვენც ხომ ქართველები ხართ, ხალხო. შეძლება, პოლიტიკურად არ მოგვწონდეს ერთმანეთი, მაგრამ თქვენც ხომ გიყვართ ეს ქვეყანა, თქვენც ხომ ხვდებით, რომ ივანიშვილი ძალიან დიდ შარში გხვევთ. ჯერ სალომე, საქართველოს მოღალატე და მტერი დაგისვათ კანდიდატად და ახლა ხელს გაწერინებთ წარმოუდგენელ საზიზღრობაზე. ივანიშვილს ეზიზღება საქართველო და უყვარს ფული. ამიტომ ის საქართველოს პრეზიდენტობის კანდიდატად ასახელებს სალომე ზურაბიშვილს და უნდა საქართველოს გადაგვარება ნარკოტიკების მწარმოებელ და ექსპორტიორ ქვეყნად ქცევით და იმით, რომ ნარკოტიკების მაღაზიების ქსელის გაკეთება უნდა მას, უჩას და მის შვილ ბერას მთელ საქართველოში. ეს არის ფაქტი და რეალობა.

იმისათვის, რომ საქართველო გადარჩეს, არ გადაშენდეს, მე მინდა, ყველანი დავირაზმოთ, ახლა უკვე მნიშვნელობა აღარ აქვს პარტიულ კუთვნილებას, ეს კაცი არის ძალიან დიდი ბოროტება, ამ ბოროტებამ არ უნდა გაიდგას საქართველოში ფესვები. ეს იქნება ყველაზე დიდი სირცხვილი საუკუნოვანი საქართველოსი, თუ ეს კაცი, ეს პითონი, რომელმაც მოაჯადოვა საქართველოს ნაწილი რაღაც პერიოდი, დააჰიპნოზა, თუ ეს ბოროტება გაიდგამს ფესვებს საქართველოში. ჩვენ დავრჩებით ქვეყნის გარეშე, ჩვენ აღარ გვექნება სამშობლო, მე სიცოცხლის ფასადაც რომ დამიჯდეს, მას ბოლომდე შევებრძოლები, არ დავუშვებ თქვენთან ერთად და თქვენი დახმარება მინდა, რომ ჩვენ არ დავრჩეთ ქვეყნის გარეშე, – აცხადებს მიხეილ სააკაშვილი.

ეს ამბავი არც მის ყოფილ თანაგუნდელ გიგა ბოკერიას მოსწონს. მისი თქმით, მარიხუანის კულტივაცია თუ ლეგალური იქნება, ყველასთვის ლეგალური უნდა იყოს და ვინმეს სახელმწიფოსგან ამაზე ექსკლუზივი არ უნდა ჰქონდეს.

– ლეგალიზება არის უკეთესი გზა იმისთვის, რომ ორგანიზებულ დანაშაულს ან კრიმინალს ებრძოლო, ანუ, ფაქტობრივად, ასეთი რამ ხდება, რომ თვითონ უნდა შეეძლოთ მოყვანა და სხვები დაიჭირონ? ეს აბსურდია. მე ვარ ლეგალიზაციის მომხრე, რადგან, როდესაც არ არის ლეგალიზებული, ეს იწვევს ორგანიზებული დანაშაულის გაფართოებასა და უფრო ბევრი პრობლემის შექმნას. თუკი ფული ტრიალებს და ეს ფული არალეგალურია, ვიღაცა ცდილობს ამ ფულის გაკონტროლებას. მარიხუანის ლეგალიზება და მკაფიო რეგულაციებში მოქცევა აბსოლუტურად ლოგიკურია. თუ ისინი გულისხმო-



ბენ, რომ სახელმწიფოს უნდა ჰქონდეს ექსკლუზივი ამის გაყიდვაზე, ხოლო სხვებს დაიჭერენ, მინიმუმ არათანმიმდევრული მიდგომაა. თუ ლეგალური იქნება, ყველასთვის უნდა იყოს, – ამბობს ბოკერია.

„ოცნებას“ ინიციატივას უწუნებს ნაციონალური მოძრაობა. დეპუტატი რომან გოცირიძე ამბობს, რომ მმართველ პარტიას მათი მხარდამჭერის იმედი არ უნდა ჰქონდეს.

დეპუტატის თქმით, იმ ფონზე, როდესაც ხელისუფლება ჩაფლულია კორუფციაში, შიდა ბაზრის გაკონტროლებას ქვეყანა ვერ შეძლებს და ეს გახდება ნარკოტიკების გავრცელების ერთ-ერთი ძირითადი წყარო.

– ვიღაცისთვის მზადდება სპეციალურად ეს კანონი და ხდება გარკვეული ადამიანების ინტერესების ლობირება, ვინაიდან რეალურად დღევანდელ პირობებში ვერ მოხდება გაკონტროლება იმისა, რომ იგი არ მოხვდეს შიდა ბაზარზე. თუ გავითვალისწინებთ ხელისუფლების სისუსტეს, კორუფციულობასა და არაორგანიზებულობას, ეს შეიძლება, გახდეს ნარკოტიკების ჩვენს ტერიტორიაზე გავრცელების ერთ-ერთი წყარო და ამას, ბუნებრივია, ჩვენ არ დავუჭერთ მხარს, – განაცხადა რომან გოცირიძემ.

პროფესიით ექიმი, „ოცნების“ დეპუტატი მირიან წიკლაური ამბობს, რომ თუ დადასტურდება, რომ მარიხუანის შემცველი რომელიმე კომპონენტი შეიძლება სამკურნალო საშუალებად ჩაითვალოს, ასეთ შემთხვევაში მას, როგორც ექიმს, საწინააღმდეგო არაფერი აქვს. ის ამბობს, რომ ასეთი რამ დადასტურებული არ არის.

– სამედიცინო თვალსაზრისით მოხმარებისათვის გარკვეული ნარკოტიკული საშუალებები არსებობს და ისინი გამოიყენება, თუმცა მარიხუანის ძირითად კომპონენტზე – ტეტრაჰიდროკანაბიოლზე დამზადებული პრეპარატების ეფექტურობა ჯერჯერობით დადასტურებული არ არის. გამომდინარე აქედან, ვერ გეტყვით, აღნიშნული პრეპარატები შეიძლება თუ არა იყოს გამოყენებული და შეიძლება თუ არა ამისათვის წარმოების აწყობა, მათ შორის საქართველოში საექსპორტოდ, – განაცხადა მირიან წიკლაურმა.

შორენა მარსაგიშვილი

# მალხაზ მაჩალიკაშვილი: „საბოლოო იმედიც დავკარგე“

## შვილმოკლული მამების შიმშილობა გრძელდება

**რუსთაველის გამზირზე შვილმოკლული მამების აქცია გრძელდება. ზაზა სარალიძემ და მალხაზ მაჩალიკაშვილმა 10 სექტემბერს შიმშილობა დაიწყეს. ისინი მთავრობის გადადგომას ითხოვენ.**

შვილმოკლული მამები აქციის დაწყების წინ იმედოვნებდნენ, რომ მათ ბევრი ადამიანი დაუჭერდა მხარს. სწორედ ამ მიზნით თქვეს მათ უარი აქციაში პოლიტიკოსების ჩართვაზე.

აქციაზე პოლიტიკოსები არ მივიდნენ, მაგრამ არც ხალხი მივიდა. არადა, საზოგადოების დიდი ნაწილი ამბობდა, რომ აქციაზე მივიდოდნენ, თუ იქ პოლიტიკოსები არ იქნებოდნენ.

ზაზა სარალიძე საზოგადოების გულგრილობით ნაწყენია, მაგრამ ბრძოლის გაგრძელებას მაინც აპირებს.

– ძალიან სამწუხაროა, იმ პირებს ვერ ვხედავ, რომლებიც რაღაცა იარლიყებს გვაწებებდნენ, შავ პიარს გვიგორებდნენ და დღეს აქ არ არიან, ჩვენ გვერდით. ნუთუ საქართველოს ბედი აღარ აინტერესებს არავის?

ჩვენი გადაწყვეტილება მოგეხსენებათ, მანამ ვიქნებით აქ, სანამ სამართლიანობა არ აღდგება. დღეს ხელისუფლების წარმომადგენლებ-



მა გააკეთეს განცხადება, თითქოს სარალიძის მოთხოვნები არის გადაჭარბებული. რა არის გადაჭარბებული, ჩემი შვილის მკვლელს რომ ვითხოვ? მე გადავაჭარბებ მაგათ. აქ ვიქნები მანამ, სანამ ჩვენი მოთხოვნები არ შესრულდება, – განაცხადა სარალიძემ.

საზოგადოების დამოკიდებულებით გულდაწყვეტილია მალხაზ მაჩალიკაშვილიც.

– დღეს მე იმედიც დამეკარგა, საქართველო კი არა, პატარა სოფლის ხალხიც არ გამოდის.

მჯეროდა, ყველანი გავერთიანდებოდით დანაშაულებრივი ჯგუფის წინააღმდეგ. ჩვენ დასაკარგი უკვე დავკარგეთ და რასაც ვაკეთებთ, იმისთვის, რომ მომავალ თაობას ჰქონდეს მშვიდი ცხოვრება, ჩვენ ჩვენს შვილებს ვერ გავაცოცხლებთ, – განაცხადა მაჩალიკაშვილმა.

მოშიმშილე მამები ამბობენ, რომ ეს ხელისუფლება მათი შვილების საქმეების გამოძიებას არ აპირებს, ამიტომაც ისინი მთავრობის გადადგომას და ვადამდელ საპარლამენტო არჩევნებს ითხოვენ.

ამ მოთხოვნამ მთავრობის მხარდამჭერები ძალიან გაამწარა. მათი თქმით, მთავრობის გადადგომის მოთხოვნის დაყენება ნამეტანია. ამასთან, ისინი არაფერს ამბობენ, თუ რატომ ვერ მოხერხდა დამნაშავეების პოვნა.

მოშიმშილეები კი ამბობენ, რომ მათი მოთხოვნა სრულიად ბუნებრივია. მალხაზ მაჩალიკაშვილი არ გამორიცხავს, რომ მათ რუსთაველზე კარავიც გაშალონ.



# რა ხდება განათლების სამინისტროში

## რამაზ საყვარელიძე: „განათლების მინისტრს ცვლილებები მხოლოდ ცვლილებებისთვის არ განუხორციელებია“

ნონა ცაბაძე

**განათლების სამინისტროში დაწყებულ ცვლილებებს „ახალ თაობასთან“ ინტერვიუში ექსპერტი, ფსიქოლოგი და ლექტორი რამაზ საყვარელიძე აფასებს.**

***– ბატონო რამაზ, განათლების მინისტრის მიერ განხორციელებულ საკადრო ცვლილებებს ბევრმა რევოლუციური ტალღა უწოდა, ბევრმა განათლების მინისტრმა ვერ გაბედა ის, რაც ბატიაშვილმაო. რას იტყვით თქვენ, როგორც ლექტორი და განათლების სამინისტროს ყოფილი თანამშრომელი. როგორია თქვენი შეფასებები, ეშველება რამე განათლების სისტემას?***

– ცვლილებები ყოველთვის მისასალმებელია, ოღონდ ყველა შემთხვევაში მე კონკრეტული მიზეზის თქმა მიჭირს. ალბათ მინისტრს თავის კონკრეტული მიზეზები ჰქონდა. ალბათ იმისთვის არ მოუხდენია ცვლილებები, რომ ეს იყო ცვლილება ცვლილებისთვის.

***– ეს არ არის ცვლილება ცვლილებისთვისო. რას გულისხმობთ, სერიოზული რეფორმები იგეგმება, რა ინფორმაციებს ფლობთ?***

– სერიოზული სახის რეფორმები შეიძლება გააკეთო იმ ადამიანებითაც, ვინც არის ადგილზე და შეიძლება ჩათვალო, რომ ეს ადამიანები სერიოზული რეფორმისთვის არ გამოგადგება. ამ შემთხვევაში, ეტყობა, მინისტრმა ჩათვალა, რომ ამ გუნდით ის რეფორმებს ვერ გააკეთებდა და წინ ვერ წავიდოდა. როგორც ჩანს, ამ რეფორმების მონახაზი მას უკვე აქვს.

***– როდესაც მინისტრი იცვლება, ყოველთვის არის მოლოდინი, რომ ის მოვა ახალი გუნდით და მოადგილეებსაც შეცვლის. ბევრი ფიქრობს, რომ მან დააგვიანა კიდეც მოადგილეების გაშვება. თუმცა გაუკვირდათ მიმინოშვილისა და სანიკიძის გათავისუფლება. მიმინოშვილი, რომელიც 10 წელია საგამოცდო ცენტრის ხელმძღვანელი იყო, ამაზე რას იტყვით, აქაც ცვლილებები იგეგმება?***

– სიმართლე გითხრათ, მეც ბევრი ცვლილება გამიკვირდა, მაგრამ ისევ და ისევ იმ ლოგიკით, რომ ინფორმაცია მინისტრს უფრო აქვს იმის თაობაზე, რომელ სამინისტროს რომელ კუნჭულში რა ხდებოდა, წინასწარ რაიმეს თქმას არ ვიჩქარებდი. მაგალითად, იგივე გამოცდების სისტემა, რომელიც უდავოდ პროგრესული მოვლენა იყო თავის დროზე. ბევრი თვალსაზრისით ამ სისტემამ გარკვეული სირთულეები დატოვა.

***– კერძოდ, რას გულისხმობთ? ძალიან ბევრს დავობენ ამ სისტემის ირგვლივ, საუბარია, რომ სერიოზული ხარვეზები აქვს. რას იტყვით თქვენ.***

– დიახ, ბევრს დავობენ. კრიტიკაც ხშირია. მე, როგორც ლექტორს, მაგალითად, რამდენჯერმე შემხვდა ასეთი პრობლემა. სტუდენტებს მივეცი დავალება დასაწერად, ძალიან კარგი ჯგუფი იყო, მომიტანეს დაწერილი და წერტილ-მძიმე არსად არ არის. რომ ვიკითხე, ბავშვებო, რა არის ეს? რა ვქნათო მითხრეს, გამოცდები ტარდება ისე, რომ მარტო შემოხაზვა გვჭირდება, სკოლა არ იძლევა ამის ჩვევას და არსაიდან არ ვიცით ეს წესები, რასაც წერის კულტურა ჰქვიაო.

***– ანუ?***

– იმის თქმა მინდა, რომ გამოცდამ მაქსიმალურად უნდა მოიცვას ყველა ის უნარი, რომელიც ადამიანს მომავალში დასჭირდება. გარდა ასეთი წერის კულტურისა, არის აზროვნება, არის ზოგადი განათლება და ასე შემდეგ. ბევრ რამეში არსებული პრობლემები, მიმინოშვილის მიერ გაკეთებულმა სისტემამ გამოავლინა, მაგრამ არის მხარეები, სადაც ამ სისტემას უდავოდ გაუმჯობესება სჭირდებოდა. შესაძლოა ეს პრეტენზიები წაუყენეს, ფაქტია, რომ ამ ტიპის პრობლემები ნამდვილად არსებობს.

***– დიახ, სავალალო შედეგებიაო. კვლევები არსებობს, რომლის მიხედვითაც მოსწავლეების 80%-ს წაკითხულის გააზრება უჭირთო.***

– დიახ, გეთანხმებით. ვიმეორებ, შესაძლოა მიმინოშვილთან მიმართებაში ეს აღმოჩნდეს ერთ-ერთი მიზეზი. რეალური მიზეზი რა არის, ვერ გეტყვით.

***– ძირითად მიზეზად დასახელდა ის, რომ ვერ შეთანხმდა მინისტრი და ძველი გუნდიო.***

– ცხადია, ვერ შეთანხმდნენ. როგორც ჩანს, მინისტრმა რაღაცა გეგმა დადო და მერე დაასკვნა, რომ ამ გუნდით ამ გეგმას ვერ განახორციელებდა. ალბათ ამ გეგმას წინ უძღოდა დისკუსიები იმის თაობაზე თუ რა ნაბიჯებია გადასადგმელი. მომავალი გვიჩვენებს იმას, მინისტრის შემოთავაზებული გეგმა იქნება უკეთესი თუ არა.

***– ალბათ ჯერ ადრეა შევაფასოთ, როგორი განათლების მინისტრი გვყავს, მაგრამ მაინც როგორია თქვენი ამჟამინდელი შეფასებები? თუნდაც იგივე ჯეჯელავამ მოსვლის დღიდან დიდი კრიტიკა დაიმსახურა.***

– ერთი რამ, რაც გამოჩნდა ამ ეტაპზე, არის ის, რომ ცვლილებებზე წამსვლელი მინისტრი არის. ყოველ შემთხვევაში, უპრეცედენტო სტილი შემოიტანა ახალმა მინისტრმა. მან, როგორც ამბობენ ხოლმე, მეისრე კი არ მოხსნა, არამედ საკვანძო თანამდებობებიდან დაითხოვა ადამიანები. ეს ძალზე იშვიათი მოვლენაა ქართულ სინამდვილეში. ოღონდ ძალიან საჭირო.

***– რატომ?***

– იმიტომ, რომ პირველი პირი ვინც არ უნდა იყოს, მეორე ეშელონის თანამდებობის პირები თუკი ძველი სტილით მუშაობენ, იქ გადამწყვეტი ეს მეორე ეშელონი აღმოჩნდება. სისტემა მათ ხელშია. აი ეს რის საინტერესო, რომ ამხელა სისტემის მართვაში შედარებით გამოუცდელმა ადამიანმა ჩაავლო ის, თუ რა ნაბიჯი უნდა გადადგას, თუ უნდა, რომ მიაღწიოს წარმატებას. 30 წლის განმავლობაში ბევრი მინისტრი მინახავს, ძალიან კარგი ადამიანები, ძალიან პატიოსნები მუშაობაში, მაგრამ უთქვამთ კიდეც, რომ რა ვქნა, ჩემს ქვემოთ ცუდი რამეები ხდება, მაგრამ ვერაფერს ვერ ვუხერხებო. ეს პრობლემა ყველა სისტემაში იდგა, დგას და იდგება. იმიტომ, რომ სისტემას თავის კანონები აქვს. აი სისტემურ ცვლილებებზე წასვლა, გარდა კონცეფციისა, ადამიანურ ვაჟკაცობასაც ითხოვს, გადადგას ის ნაბიჯები, რაც საჭიროდ მიაჩნია.

***– ბატონო რამაზ, თქვენთვისაც ცნობილია, რომ პირველიდან მეექვსე კლასის ჩათვლით, მთლიანად შეიცვალა სახელმძღვანელოები. გამოვიდა ინფორმაცია, რომ ამ კუთხითაც სერიოზული ქაოსი და დაპირისპირება იყო. საკმაოდ გვიან დაიწყო წიგნების ბეჭდვა. სკოლებმა რა სახელმძღვანელოებიც აირჩიეს, იმ სახელმძღვანელოებს არ მიენიჭათ გრიფირება. აქაც სერიოზული პრობლემებიაო. ამაზე რას იტყვით?***

– ძალიან ბევრი. გარკვეული კონტაქტი მქონდა ამ პროცესთან. მურღულია ცდილობდა, რაც შეიძლება დემოკრატიული მექანიზმით მიელო გადაწყვეტილება. ის სისტემა, რომლითაც მთლიანობაში ხდებოდა ამ გადაწყვეტილების მიღება, ცოტა პრობლემურია.

***– რა მხრივ არის პრობლემური?***

– თქვენც გაამახვილეთ ყურადღება და ჩვენც ორიენტაცია გვაქვს იმაზე, სკოლა იღებს თუ არა. მეორე მხრივ კრიტერიუმია, რომ რა მიმართულებით გვინდა განვითარდეს ამა თუ იმ დარგში, ამა თუ იმ საგანში



ბავშვის ცოდნა. ეს ყოველთვის ერთნაირი არ არის. ძალიან ხშირად მასწავლებელი იღებს იმას, რაც მისთვის ადვილია, გასაგებია, ხელსაყრელია და ასე შემდეგ.

***– ეს ყოველთვის ამართლებს?***

– თუმცა ეს შეიძლება ყოველთვის არ აღმოჩნდეს ისეთი, რაც პროგრესს შეუწყობს ხელს. ამიტომ იმ სისტემაში, რომელიც აქამდე იყო, ჩართული იყო მეცნიერების ჯგუფებიც, რომლებმაც იციან ამა თუ იმ დარგის განვითარების ხანა. მაგალითად, ქულების მიწერაში თანაბარი ძალა ჰქონდა ორივე მხარეს, მასწავლებლისასაც და მეცნიერისასაც. ერთი ხაზი უნდა აილო, თუ გინდა, რომ მეცნიერული კრიტერიუმი იყოს წამყვანი, მაშინ მეცნიერებს უნდა მისცე უპირატესობა და მასწავლებლები აიძულო, გახდნენ უფრო მეტად პროგრესულები. თუ მასწავლებლებს აძლევ უპირატესობას, მაშინ მეცნიერები უნდა გადადო გვერდზე. ეს ორი მხარე სინქრონული და ერთმანეთის მხარდამჭერი იშვიათად იქნება. არ ვიცი გამოსწორდება თუ არა, მაგრამ ეს სირთულეები იყო. აქვე უნდა ითქვას ისიც, რომ მურღულიამ ბოლო ეტაპზე გეზი მაინც მეცნიერებისკენ აიღო და სწორედ მათი სიტყვა იყო გადამწყვეტი. ასევე სერიოზული სირთულეებია ხარისხის მართვაში.

***– სანიკიძის უწყებას გულისხმობთ?***

– დიახ, სანიკიძე რომელსაც განაგებდა. გარკვეულწილად ამ პროცესშიც ვარ ჩართული. უმაღლესების ავტორიზაციის ეტაპია დღეს...

***– ვხედავთ რა პრობლემებია შავი ზღვის უნივერსიტეტთან დაკავშირებით. რა კრიტერიუმებით ფასდება ესა თუ ის უნივერსიტეტი?***

– დიახ, ერთი პრობლემა ამოტივტივდა შავი ზღვის უნივერსიტეტთან დაკავშირებით. ხუთ უნივერსიტეტში ვასწავლი და ყველა უნივერსიტეტში ძირითადი ემოციები არის იმის გარშემო, აკმაყოფილებენ თუ არა ავტორიზაციის მოთხოვნებს და კანკალებს ყველა უნივერსიტეტი და ამ დროს ეს მოთხოვნები არ ვარგა.

***– რატომ არ ვარგა?***

– არ ვარგა იმ თვალსაზრისით, რომ მოწმდება, მაგალითად, წესრიგშია თუ არა ესა თუ ის დოკუმენტი, როგორ არის შედგენილი ბიუჯეტი და ასე შემდეგ, ფორმალური მახასიათებლები.

***– და სწავლის დონე და ხარისხი? ამას თუ აკვირდება ვინმე?***

– არ ფიგურირებს ეს კრიტერიუმი. მაგაზე იყო სულ კამათი. სტუდენტის სწავლის ხარისხი, თუ რომელი უნივერსიტეტის გამოშვებული სტუდენტი ჯობია, ეს დაკარგულია. ამ დროს დასავლეთში ეს კრიტერიუმი მოქმედებს და იქ მთლიანი ცხოვრების სისტემა არის სხვანაირი. იქ რომელი უნივერსიტეტის კურსდამთავრებულებიც უფრო ადვილად შოულობენ სამუშაოს, ითვლება, რომ ის უნივერსიტეტი თავის ამოცანებს უმკლავდება.

***– ჩვენთან ასე არ არის.***

– ჩვენ პირობებში სამუშაოს შოვნაზე ლაპარაკი ცოტა რთულია და მაშინ რაღაც სხვა კრიტერიუმები უნდა შემოსულიყო, ისეთი, რომელიც შექმნიდა მომზადების სურათს. არა იმის სურათს, სამზარეულო როგორია, არამედ იმის სურათს, ამ სამზარეულოში მომზადებული კერძი როგორია. ჩვენ ვსწავლობდით სამზარეულოს და კერძი როგორ იყო მომზადებული, ეს გვერდზე რჩებოდა. ეს ყოველთვის იყო საკამათო.

ბევრი სირთულეა, რომელიც ჯერ კიდევ გადაწყვეტილი არ არის. საერთოდ ერთ-ერთი ურთულესი სისტემაა განათლების სისტემა. ფაქტიურად მეცნიერება აღარა გვაქვს. მას შემდეგ, რაც უმაღლესებს მიეწება მეცნიერება, მეცნიერებაც დაიკარგა. არადა მეცნიერი თუ არ გეყოლა, უმაღლეს სკოლაში მასწავლებელი აღარ გეყოლება. ჩვენ ვდგავართ იმ პერსპექტივის წინაშე, რომ უმაღლესში შეიძლება მასწავლებელი არ იყოს. თუ უმაღლესში მასწავლებელი არ იქნა, შესაბამისად სკოლის მასწავლებლის მომზადებაში გაჩნდება პრობლემები და ასე შემდეგ. ეს ერთიანი ჯაჭვია და მისი გახსნა სწორედ მეცნიერებიდან უნდა დაიწყოს და არა სკოლიდან. თუ მეცნიერებამ წაიფორხილა, მერე მთელი სისტემა მიყვება.

## ლევან იზორია: „საერთაშორისო მისიებში მონაწილეობას ისევ მივიღებთ“

– ჩვენი ვალდებულებები და ძალისხმევა ავღანეთისა და ცენტრალური აფრიკის რესპუბლიკის საერთაშორისო მისიებში მონაწილეობის მხრივ უცვლელი რჩება.

ამის შესახებ თავდაცვის მინისტრმა ლევან იზორიამ საერთაშორისო კონფერენციაზე, „მსოფლიო თავდაყირა – 2018“ შესაბამისი კითხვის პასუხად განაცხადა. მინისტრმა თავდაცვის სფეროში არსებულ რეფორმებზეც გაამახვილა ყურადღება.



– რა თქმა უნდა, ჩვენი ვალდებულებები და ძალისხმევა როგორც ნატო-ს და ჩვენი სტრატეგიული მოკავშირის, ამერიკის შეერთებული შტატების მიმართ, ისე ევროპული უსაფრთხოებისთვის, ავღანეთსა და ცენტრალური აფრიკის რესპუბლიკაში საერთაშორისო მისიებში მონაწილეობის მხრივ უცვლელი რჩება. მაგრამ მე ასევე მსურს აღვნიშნო, რომ წელს ჩვენ დავიწყეთ ძალზე მნიშვნელოვანი პროგრამა – საქართველოს თავდაცვის მზადყოფნის პროგრამა, რომლითაც ჩვენ ვიქნებით მზად, დავიცვათ საკუთარი თავი და ის მისწრაფებები, რომლებიც ნატო-სთან ინტეგრაციის კონტექსტში უკვე ვახსენე. აქამდე ჩვენს ჯარისკაცებს უფრო მეტად საერთაშორისო მისიებისთვის ვამზადებდით და ეს პროგრამა უკვე არის შემავსებელი ჩვენი მიზნების განხორციელებისთვის.

ჩვენ დავიწყეთ რეფორმები ახალი სტრატეგიებით და ეროვნული გეგმებით, რომელიც სრულ თანხვედრაშია ამერიკის შეერთებული შტატების უსაფრთხოების სტრატეგიასთან და ხაზგასმულია თავდაცვის ავტორიზაციის აქტში და რომელიც გულისხმობს იმ ქვეყნების დახმარებას, რომლებიც რუსული საფრთხის წინაშე დგანან და ფოკუსირებს ტერიტორიულ თავდაცვაზე. საქართველო შეიძლება იყო ერთ-ერთი კარგი მაგალითი, რადგან ჩვენ უკვე ბევრი გავაკეთეთ, უფრო მეტი, ვიდრე ზოგმა ნატო-ს წევრმა ქვეყანამ, – განაცხადა იზორიამ.

იზორიამ სამხედრო სიძლიერის ამაღლების მნიშვნელობაზეც ისაუბრა.

– მაგალითისთვის, უკანასკნელი ორი წლის განმავლობაში ჩვენ შევამცირეთ პერსონალზე დანახარჯები ჩვენს ბიუჯეტში 67%-დან 54%-მდე, რაც იყო ჩვენ მიერ მიღებული ძალზე მტკიცე და რთული გადაწყვეტილება, დაზოგილი თანხები მივმართეთ აღჭურვილობაზე და ამჟამად ჩვენ მთლიანი შიდა პროდუქტის 2%-ს ვხარჯავთ თავდაცვაზე, და პირველად, თავდაცვის ბიუჯეტის 20%-ს აღჭურვილობაზე.

ჩვენ მივიღეთ „ჯაველინის“ სისტემა აშშ-სგან და ახლა უკვე მოვითხოვეთ „სტინგერის“ საჰაერო თავდაცვის სისტემა და ამას ვამბობ იმიტომ, რომ ჩვენი მომზადებისთვის და როგორც მე ვუწოდე – სტრატეგიული მზადყოფნისთვის, მნიშვნელოვანია არა მხოლოდ სიტყვით გამოსვლა, ინფორმირება და თეორიული მიდგომა, არამედ სამხედრო კომპონენტით გაძლიერება. სწორედ ამიტომ უმნიშვნელოვანესია ჩვენი ერთობის განმტკიცება და უპირველეს ყოვლისა, სამხედრო სიძლიერის ამაღლება. ამ მხრივ საქართველო აკეთებს ყველაფერს, რათა აშშ-ის მხარდაჭერით და ნატო-საქართველოს არსებითი პაკეტის ფარგლებში, ნატო-ს წევრი ქვეყნების თანადგომით განავითაროს თავდაცვითი შესაძლებლობები და ყოველდღიურად იყოს მზად ნატო-ს წევრობისთვის.

ამრიგად, შეჯამების სახით, მსურს გითხრათ, რომ ჩვენ გვჭირდება მეტი, ჩვენ ვართ მზად და ჩვენი ვალდებულებები და ძალისხმევა რჩება უცვლელი, როგორც ნატო-ს გზაზე, ისე ეროვნული მიზნების მისაღწევად და საერთაშორისო მისიებში, – განაცხადა იზორიამ.

**ინტერპრესნიუსი**

## პაატა იმნაძე: „შემოდგომაზე წითელა-წითურა გააქტიურდება“

დაავადებათა კონტროლისა და საზოგადოებრივი ჯანმრთელობის ეროვნული ცენტრის დირექტორის მოადგილე პაატა იმნაძემ მშობლები გააფრთხილა, რომ შემოდგომის დადგომისთანავე მოსალოდნელია წითელა-წითურის ვირუსის გააქტიურება. იმნაძის რჩევით, უმჯობესია, რომ ბავშვებს აცრები დროულად გაუკეთდეს.

– რაც შეეხება შემოდგომას, ბავშვები ბრუნდებიან, ამიტომ უპირველეს ყოვლისა, მოსალოდნელია ისეთი დაავადებების გააქტიურება, სადაც გადადების მექანიზმი საკმაოდ აქტიურად მუშაობს, ესაა წითელა-წითურა. წითელა ჯერჯერობით არ გვაქვს, მაგრამ წითურა გვაქვს, ამიტომ გვაქვს ერთადერთი რჩევა, რომ მშობლებმა ბავშვის სკოლაში შეყვანამდე კიდევ ერთხელ კარგად უნდა ნახონ ბავშვის ვაქცინაციის ისტორია და თუ რამე ასაკობრივი ვაქცინა გამოტოვებული აქვს, აუცილებლად ჩაუტარონ, – აღნიშნა იმნაძემ.

რესპირატორულ დაავადებებთან დაკავშირებით იმნაძემ განაცხადა, რომ ჯერჯერობით მათი გააქტიურების საფრთხე არ დგას, მაგრამ დაამატა, რომ გრიპის ვაქცინაცია, უმჯობესია, ოქტომბერში ჩატარდეს.

– ვისაც ზამთარში გრიპის ეშინია, გრიპის ვაქცინაცია ოქტომბერში იწყება ხოლმე და ამ დროს უნდა ჩაიტარონ ის და არა იანვარსა და თებერვალში, როცა გრიპის სეზონი დაიწყება, – განაცხადა იმნაძემ.

**მედიანიუსი**

# ევროკავშირის „აღმოსავლეთ პარტნიორობის“ პროგრამა კითხვის ნიშნის ქვეშ დადგა

## „გარდიანი“: „ევროპული წესრიგი დაირღვა“

მარიამ მჭედლიშვილი

**საქართველოს საზოგადოების ნაწილი გაახარა, ნაწილი კი დაამწუხრა შვედეთში ნაციონალისტების წარმატებამ: რადიკალმა მემარჯვენეებმა, ანტიმიგრანტებმა თითქმის 18% მოიპოვეს შვედეთის საპარლამენტო არჩევნებში და მესამე ადგილზე გავიდნენ. თუ მოლაპარაკებები კოალიციური მთავრობის დასაკომპლექტებლად შედეგიანად დამთავრდა, შვედეთი გახდება მეორე სახელმწიფო ავსტრიის შემდეგ ევროპაში, სადაც კოალიციურ მთავრობაში ულტრანაციონალისტები შედიან.**

ცნობილია, რომ კრემლი ხელს უწყობს ევროპაში ულტრამემარჯვენე ძალების გაძლიერებას. ევროპელი კონსერვატორების მიმართ სიმპათია არაერთხელ გამოუთქვამს ასევე აშშ-ის პრეზიდენტს.

შვედი ნაციონალისტების მრავალრიცხოვანი პარტია „შვედი დემოკრატები“ არც პუტინის მიმართ ლოიალობით გამოირჩევა და არც ტრამპთან დაახლოებას ცდილობს. ის მიგრანტების მიღების აკრძალვის და ევროკავშირიდან შვედეთის გამოსვლის მომხრეა.

ცოტა ხნის წინ „შვედმა დემოკრატებმა“ არ მიიღეს ტრამპის ყოფილი მრჩევლის, სტივ ბენონის შემოთავაზებები თანამშრომლობაზე. პრეზიდენტის გადამდგარი მრჩეველი აპირებს ევროპელი ულტრანაციონალისტების გაერთიანებას და ევროკავშირის დაშლას. ბენონმა, რომელმაც ბრიუსელში შექმნა ფონდი „მოძრაობა“, განაცხადა, რომ ევროპარლამენტში ნაციონალისტების უმრავლესობით მოსვლის იმედი აქვს. ეს არჩევნები 2019 წელს გაიმართება.

დიდი ალბათობით, ევროპარლამენტის მომავალ შემადგენლობაში შვედ ნაციონალისტებს უფრო ფართო წარმომადგენლობა ეყოლებათ. მათი დეპუტაცია ამჟამინდელ ევროპარლამენტშიცაა წარმოდგენილი და შედის ალიანსში „ევროპელი კონსერვატორები და რეფორმატორები“.

შვედეთში 9 სექტემბერს მომხდარს უწოდებენ ნაციონალისტების ტრიუმფს, ასევე – პოლიტიკურ მიწისძვრას.

„გარდიანის“ შეფასებით, „შვედი დემოკრატების“ წარმატება არღვევს ევროპული წესრიგის სტაბილურობას.

– აყვავებული, ლიბერალური, ტოლერანტული შვედეთი შედის უცნობ წყალში პოპულისტური წინააღმდეგობის პირისპირ, – აღნიშნავს გაზეთი.

არჩევნებამდე, სხვადასხვა დროს, შვედეთის პრემიერმა ლიოვენმა რამდენჯერმე განაცხადა, რომ არსებობს საარჩევნო პროცესში რუსეთის ჩარევის საფრთხე, თუმცა, შვედეთი ამას არ დაუშვებს.

მისივე განმარტებით, ნაციონალიზმის ტალღა შვედეთში გამოიწვია არასტაბილურობამ შრომის ბაზარზე და სოციალური დაძაბულობის ზრდამ.



ნაციონალისტებმა ევროპის ზოგ სახელმწიფოში უმრავლესობით გაიმარჯვეს. ასეთი სახელმწიფოს – უნგრეთის ევროკავშირის საწინააღმდეგო და ავტორიტარულ-ნაციონალისტური გადაწყვეტილებები ხშირად ხდება ბრიუსელის მღელვარების საგანი.

ნაციონალისტურ ტალღაზე მოსულად ითვლება ასევე უკრაინის ხელისუფლება. ექსპერტების დასკვნით, ევროპაში ნაციონალისტების მომძლავრება არ იწვევს უკრაინელი თანამოაზრეების გაძლიერებას.

მათი აზრით, ევროპული ნაციონალიზმი პოლიტიკურია. ევროპაში იბრძვიან ბრიუსელის ბიუროკრატიის წინააღმდეგ, რომელიც ამ ქვეყნებს მიგრანტების მიღებას აიძულებს. უკრაინული ნაციონალიზმი კი ეთნიკურია და ემყარება საკუთარი უპირატესობის პრინციპს და სახელმწიფოში სხვების მიუღებლობას.

შვედეთი პოლონეთთან ერთად ევროკავშირის „აღმოსავლეთ პარტნიორობის“ პროგრამის ინიციატორია. ამ პროგრამით უნდა დაჩქარდეს საქართველოს, უკრაინისა და სხვა პარტნიორი ქვეყნების ინტეგრაცია ევროკავშირში. შვედეთში მომხდარმა ძვრებმა შეიძლება ეს პროგრამა გააჩეროს.

---

# უჩა მამაცაშვილი პრობლემების მოგვარებისთვის „ომეგა ჯგუფის“ დამფუძნებელს 2 მილიონს სთხოვდა

მორიგი სკანდალური ჩანაწერი „იბერიის“ საქმეში – „კურიერს“ კონფიდენციალურმა წყარომ აუდიოჩანაწერი მიაწოდა, სადაც, წყაროს მტკიცებით, ერთმანეთს სპორტის ყოფილი მინისტრი და „ომეგა ჯგუფის“ დამფუძნებელი ესაუბრებიან. ლევან ყიფიანი ზაზა ოქუაშვილს



ბიძინა ივანიშვილის დეიდაშვილთან, უჩა მამაცაშვილთან საუბრის დეტალებს უყვება. აუდიოფაილიდან ირკვევა, რომ მამაცაშვილი „ომეგა ჯგუფის“ პრობლემების მოსაგვარებლად, მთავრობასთან მოლაპარაკებას აწარმოებდა და ამ თემაზე პრემიერთან შეხვედრასაც გეგმავდა.

ჩანაწერიდან ასევე ირკვევა, რომ „ომეგა ჯგუფის“ მფლობელს ბიძინა ივანიშვილის დეიდაშვილი უჩა მამაცაშვილი მთავრობასთან პრობლემების მოგვარებაში ორ მილიონ დოლარს სთხოვდა.

ლევან ყიფიანი კამერებს ამ დრომდე ემალება, სპორტის ყოფილი მინისტრი არ აკეთებს განმარტებებს ვისი დავალებით მართავდა შეხვედრებს ტელეკომპანია „იბერიის“ დამფუძნებელთან და ტელევიზიის დათმობას სთხოვდა. ყიფიანის ნაცვლად დღეს „ომეგა ჯგუფისა“ და „იბერიის“ მფლობელებს, მთავრობის წევრებმა უპასუხეს. ფინანსთა მინისტრმა მათ განცხადებებს სამარცხვინო უწოდა.

ტელეკომპანია „იბერიასა“ და „ომეგა ჯგუფის“ ირგვლივ მიმდინარე პროცესებთან დაკავშირებით უჩა მამაცაშვილი განცხადებას ავრცელებს.

„კომერსანტი“ განცხადებას უცვლელად გთავაზობთ:

– ლეგენდები ჩემი „განსაკუთრებული გავლენების“ შესახებ არახალია და მას პერიოდულად თხზავენ ადამიანები, რომელთაც ამ ლეგენდის მეშვეობით უკანონო სარგებლის მიღება სურთ.

გამონაკლისი არც „ომეგა ჯგუფის“ ირგვლივ ამ ბოლო დროს მიმდინარე აჟიოტაჟია.

ჩემთვის უცნობია, კონკრეტულ შემთხვევაში, საქმე გვაქვს „ომეგა ჯგუფის“ ხელმძღვანელების მხრიდან გამიზნულ პროვოკაციასთან, ყოფილი მაღალჩინოსნის არაჯანსაღ ინტერესებთან თუ სიყალბესთან. თუმცა, ყველა შემთხვევაში, ვიღაც აშკარად ცდილობდა ჩემი სახელის საეჭვო და უკანონო გარიგებებში გამოყენებას და ამ კამპანიას აშკარად პოლიტიკური ელფერი აქვს.

შესაბამისად, მივმართავ საქართველოს პროკურატურას, რათა დაუყოვნებლივ დაიწყოს გამოძიება აღნიშნულ ფაქტზე და ამომწურავი პასუხი გასცეს საზოგადოებაში გაჩენილ ლეგიტიმურ კითხვებს.

---

# შსს-მ თანამშრომლებისთვის საცხოვრებელი სახლების მშენებლობაზე ტენდერი ხელახლა გამოაცხადა



შსს-მ უწყების თანამშრომლებისთვის საცხოვრებელი სახლების მშენებლობაზე ტენდერი ხელახლა გამოაცხადა. ამჯერად ტენდერის ღირებულება 5,8 მილიონის ნაცვლად 6,5 მილიონ ლარამდეა გაზრდილი. აღსანიშნავია, რომ პირველადი ტენდერის შეწყვეტის მიზეზად სამინისტრომ ხარჯების დაზუსტების აუცილებლობა დაასახელა.

საცხოვრებელი კორპუსები ტენდერის პირობების მიხედვით რუსთავში, სამინისტროს საკუთრებაში არსებულ ტერიტორიაზე უნდა აშენდეს. დაგეგმილია ორი 11-სართულიანი ნაგებობის მშენებლობა. სატენდერო წინადადებების მიღება 28 სექტემბერს დასრულდება.

ბმ.გე

---

# მესტიის აეროპორტით უმეტესად უცხოელი ვიზიტორები სარგებლობენ



ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს შპს „საქართველოს აეროპორტების გაერთიანების“ ინფორმაციით, აგვისტოში მესტიის თამარ მეფის სახელობის აეროპორტი 1089 მგზავრს მოემსახურა. რაც წინა წლის ანალოგიურ პერიოდთან შედარებით 20% მეტია (2017 წელი – 910 მგზავრი).

მგზავრების უმეტესობა უცხოელი ვიზიტორები იყვნენ, რაც იმის ნიშანია, რომ საქართველო, კერძოდ სვანეთი, უცხოელი ვიზიტორებისა და ტურისტებისთვის სულ უფრო მიმზიდველი ხდება.

სამინისტროს ინფორმაციით, ჯამში, აგვისტოში ადგილობრივი აეროპორტები 1,473 მგზავრს მოემსახურა, რაც 11 % მეტია წინა წლის ანალოგიურ პერიოდთან შედარებით (2017 წელი – 1,331 მგზავრი). მესტიის მიმართულებით რეისები ნატახტარიდან და პირიქით, შაბათის გარდა ყოველდღე სრულდება. ნატახტარი-მესტიის ფრენის ღირებულება ზრდასრულებისთვის 90 ლარია. 3-დან 12 წლამდე ბავშვებზე 30%-იანი ფასდაკლება ვრცელდება, ხოლო 3 წლამდე ჩვილებისთვის მგზავრობა უფასოა. რაც შეეხება ფრენებს ქუთაისის საერთაშორისო აეროპორტიდან მესტიის მიმართულებით და, პირიქით, რეისები კვირაში ორჯერ – ორშაბათსა და პარასკევს სრულდება. ქუთაისი-მესტიის ბილეთის საფასური 50 ლარია.

---

# ბაკურიანში დამატებით 20-მდე ტურისტული ობიექტი დამსვენებლებს წყალარინების ახალი ქსელით მოემსახურება



რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს გაერთიანებული წყალმომარაგების კომპანია ტურისტულ ზონებში წყალმომარაგებისა და წყალარინების შიდა ქსელების მოწესრიგებას აგრძელებს.

ამჯერად, დაბა ბაკურიანში დამატებით 20-მდე ტურისტულ ობიექტზე ახალი საკანალიზაციო ქსელი მოეწყო. შედეგად, დამსვენებლებს ზამთრის კურორტი წყალარინების გამართული ინფრასტრუქტურით მოემსახურება. ტურისტულ ობიექტებზე მოთხოვნა ყოველწლიურად მზარდია, გამომდინარე აქედან საკანალიზაციო სისტემის გამართული ფუნქციონირებისთვის ქსელი განვითარებას საჭიროებდა. მიმდებარე ტერიტორიაზე, სადაც აღნიშნული ობიექტებია განთავსებული წყალარინების ინფრასტრუქტურა დღემდე არ არსებობდა. სამუშაოები კომპანიის სამცხე-ჯავახეთის რეგიონულმა ფილიალმა უკვე დაასრულა.

---

# მართვის მოწმობის თეორიული გამოცდის შედეგები 1 წლის განმავლობაში იმოქმედებს



მართვის მოწმობის თეორიული გამოცდის პასუხების მოქმედების ვადა გაიზრდება. ამის შესახებ შინაგან საქმეთა სამინისტროს მიერ მომზადებულ კანონპროექტშია აღნიშნული.

კერძოდ, პროექტის თანახმად, იგეგმება თეორიული გამოცდის შედეგების მოქმედების ვადის 1 თვიდან 1 წლამდე გაზრდა. ამასთან, პროექტში საუბარია, რომ უნდა მოხდეს მართვის მოწმობის პრაქტიკული გამოცდის მე-2 ეტაპის დანერგვაც.

– ცვლილების თანახმად, სატრანსპორტო საშუალების მართვის უფლების მისაღებ პრაქტიკულ გამოცდას ემატება მეორე ეტაპი (რეალური საგზაო მოძრაობის პირობებში). შესაბამისად, დადგინდება აღნიშნული ეტაპის საფასური, ასევე ცვლილება შეეხება თეორიული გამოცდის შედეგების მოქმედების ვადასაც და იგი 1 თვიდან გაიზრდება 1 წლამდე.

ცვლილებების შედეგად ასევე დაიხვეწება შინაგან საქმეთა სამინისტროს მომსახურების სააგენტოს მთელი რიგი მომსახურებები, დაემატება დაჩქარებული მომსახურებები და მომსახურების ახალი სახეები, მათ შორის, მომსახურების დისტანციური არხები, – აღნიშნულია პროექტში.

ამ კანონპროექტის პარლამენტში წარდგენას მთავრობა 2018 წლის საშემოდგომო სესიაზე გეგმავს.

---

# „ყაზტრანსგაზ-თბილისი“, შესაძლოა, მარშალის კუნძულებზე რეგისტრირებულმა კომპანიამ შეიძინოს

„ყაზტრანსგაზ-თბილისი“, შესაძლოა, მარშალის კუნძულებზე რეგისტრირებულმა waltbay ltd-მ შეიძინოს. აღნიშნული კომპანია „ყაზტრანსგაზისგან“ „ყაზტრანსგაზ თბილისის“ 100%-




იანი წილის გამოსყიდვით არის დაინტერესებული.

როგორც მთავრობის განკარგულებაშია აღნიშნული, კომპანია „ყაზტრანსგაზ-თბილისს“ იმ შემთხვევაში შეიძენს, თუ ის არსებული დავალიანებებისგან გათავისუფლდება. ბოლო მონაცემებით, კომპანიას ფინანსთა სამინისტროს წინაშე 96 მილიონ 684 ათასი ლარის; „ყაზტრანსგაზისა“ და intergas finance bv-ს წინაშე კი 133 მილიონ 739 ათას 35 ლარის დავალიანება აქვს.

ამასთან, შეგახსენებთ, რომ „ყაზტრანსგაზ-თბილისის“ 100%-იანი წილის მფლობელ „ყაზტრანსგაზსსა“ და საქართველოს შორის საარბიტრაჟო დავა მიმდინარეობს. კომპანია საქართველოსგან მიყენებული ზიანის 187 მილიონ 902 ათას 597 დოლარის ოდენობით და საარბიტრაჟო ხარჯების ანაზღაურებას ითხოვს. „ყაზტრანსგაზი“ აპროტესტებს 2009 წელს „ყაზტრანსგაზ თბილისში“ სპეციალური მმართველის დანიშვნას. მათ მიაჩნიათ, რომ ამით დაირღვა „ყაზტრანსგაზის“, როგორც უცხოელი ინვესტორის უფლებები, რადგან დანიშვნის შემდეგ კომპანია „ყაზტრანსგაზ თბილისის“ საქმიანობაში ყახაზური მხარე ფაქტობრივად ველარ მონაწილეობს.

ცნობისთვის, ჯერ კიდევ 2016 წლის სექტემბერში გავრცელდა ინფორმაცია, რომ „ყაზტრანსგაზ თბილისს“, შესაძლოა, მფლობელი შეცვლოდა. მაშინ სავარაუდო შემძენად „საქართველოს ინდუსტრიული ჯგუფი“ სახელდებოდა.

# ბიზნესი ახალი საბაჟო კოდექსის შესახებ ინფორმაციას არ ფლობს



ახალი საბაჟო კოდექსის შესახებ ბიზნესი ინფორმაციას არ ფლობს. ფინანსთა სამინისტროს ოფიციალური დოკუმენტი ჯერ არ გაუსაჯაროებია. „კომერსანტთან“ საუბარში ბიზნესის წარმომადგენლებმა განიცხადეს, რომ არც კოდექსთან დაკავშირებით გამართულ კონსულტაციებში მიუღიათ მონაწილეობა და არც დოკუმენტი უნახავთ.

ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ცვლილება, რომელიც ახალ საბაჟო კოდექსში იქნება გათვალისწინებული, იმპორტის გადასახადს ეხება. კერძოდ, თუ ქვეყანაში იმპორტირებული პროდუქტი რეექსპორტზე გავა, მაშინ ოპერატორს იმპორტის გადასახადი დაუბრუნდება. ეს სიახლე ძირითადად ავტოიმპორტიორებისთვის არის გათვალისწინებული.

ავტოიმპორტიორთა ასოციაციის ხელმძღვანელის მიხეილ ალიხანაშვილის შეფასებით, საბაჟო კოდექსში განსახორციელებელი ცვლილება ავტობიზნესის ოპერატორების საქმიანობას სტიმულს მისცემს:

– პოზიტიური ცვლილებაა, თუმცა ოფიციალური დოკუმენტი ჯერ არ მინახავს, რადგან ფინანასთა სამინისტროს ინფორმაცია ჯერ არ გაუსაჯაროებია. ეს იყო ერთ-ერთი მნიშვნელოვანი გზავნილი, რომელიც ფოთში გამართულ პრეზენტაციაზე გაჟღერდა.

„კომერსანტი“ შეეცადა საბაჟო კოდექსთან დაკავშირებით, შეფასებები სხვა ბიზნესოპერატორებისგანაც მიეღო, თუმცა, როგორც გაირკვა, ბიზნესმენებმა მხოლოდ ძირითადი გზავნილები მოისმინეს და შეფასებების გაკეთება უჭირთ.

„საბაჟო კოდექსზე ვერ ვისაუბრებ,“ – ამბობს „კომერსანტთან“ საუბარში მეფრინველეთა ასოციაციის თავმჯდომარე ზურაბ უჩუმბეგაშვილი. მისი თქმით, მეფრინველეები საბაჟო კოდექსთან დაკავშირებით კონსულტაციებში ჩართული არ ყოფილან და, შესაბამისად, ვერ იმსჯელებენ:

„ვიდრე ოფიციალურ დოკუმენტს არ ვნახავ, ძირითად გზავნილებზე ვერ ვისაუბრებ,“ – ამბობს უჩუმბეგაშვილი.

ანალოგიური პოზიცია აქვს ტექსტილისა და ფეხსაცმლის მწარმოებელთა ასოციაციის თავმჯდომარე დავით ბიძინაშვილს:

– კოდექსთან დაკავშირებით, კონსულტაციებში მონაწილეობა არც ჩვენ მიგვილია, შესაბამისად ინფორმაცია არც ჩვენ გვაქვს. ვიდრე ოფიცალურ დოკუმენტს არ ვნახავ კომენტარს ვერ გავაკეთებ.

ახალ საბაჟო კოდექსზე არ საუბრობს კომპანიაBDO-ს მმართველი პარტნიორი ზურაბ ლალაზაშვილი:

– ძირითადი გზავნილების შეფასება რთულია ვიდრე, ოფიციალურ დოკუმენტს არ გავეცნობი. სამწუხაროდ, საქმის კურსში არ ვარ.

საქართველოს პრემიერ-მინისტრმა მამუკა ბახტაძე 2018 წლის ივნისში პარლამენტში სიტყვით გამოსვლისას განაცხადა, რომ საბაჟო კანონმდებლობა ვერ პასუხობდა ბიზნესის მოთხოვნებს და ახალი პროექტის მომზადება მეწარმეებთან კონსულტაციების შედეგად მოხდებოდა.

რამდენიმე დღის წინ კი ფინანსთა მინისტრმა ახალი საბაჟო კოდექსის პროექტის პრეზენტაცია ფოთში გამართა.

ფინანსთა ცნობით, კანონპროექტი მნიშვნელოვან სიახლეებს პროცედურების გამარტივების. კერძოდ: მარტივი გაფორმების ახალი წესები და დეკლარირების ფორმები; იქმნება გადახდილი იმპორტის გადასახადის დაბრუნების შესაძლებლობა; საბაჟო გადაწყვეტილების მიღების დროს, მაქსიმალურად იქნება გათვალისწინებული მეწარმის ინტერესები; ბიზნესის გათვალისწინებით, შესაძლებელი იქნება გარანტიის ახალი სახის (თავდებობა) გამოყენება; იქმნება მნიშვნელოვანი წინაპირობა, ბიზნესმა გამარტივებული საბაჟო პროცედურებით ისარგებლოს ევროკავშირსა და სხვა ქვეყნებში; ამასთან, საბაჟო კანონმდებლობაში შენარჩუნდება ყველა ის პოზიტიური ცვლილება, რაც რეფორმების შედეგად განხორციელდა საგადასახადო და საბაჟო ვალდებულებების ერთიანი/გამარტივებული ადმინისტრირების მიმართულებით, მათ შორისაა: გადასახადის გადამხდელის ერთიანი ბარათი (საგადასახადო და საბაჟო), „სივრცეში“ და „საზღვარზე“ არსებული ზედმეტობის ურთიერთჩათვლა, ერთიანის სახაზინო კოდი საგადასახადო/საბაჟო ვალდებულების შესასრულებლად, გასაჩივრებისა და საგადასახადო შეთანხმების ერთიანი სისტემა.

როგორც უწყების მიერ გავრცელებულ განცხადებაში წერია, საბაჟო კოდექსის ამოქმედების შემდეგ, საქართველო იქნება ქვეყანა რეგიონში, რომელიც თანამედროვე საბაჟო ინფრასტრუქტურასთან ერთად, ახალი საბაჟო კანონმდებლობითაც სრულად უპასუხებს ევროსტანდარტებით გათვალისწინებულ მოთხოვნებს და მნიშვნელოვან წვლილს შეიტანს საერთაშორისო ვაჭრობის განვითარებაში.

# რა შემოსავლებით დატოვეს თანამდებობა განათლების სამინისტროს ყოფილმა მაღალჩინოსნებმა

განათლების მინისტრის გადაწყვეტილებით, გუშინ თანამდებობა დატოვეს განათლების მინისტრის მოადგილეებმა თემურ მურღულიამ და ლია გიგაურმა. გათავისუფლდნენ ასევე: შეფასებისა და გამოცდების ეროვნული ცენტრის დირექტორი მაია მიმინოშვილი; განათლების ხარისხის განვითარების ცენტრის ხელმძღვანელი თამარ სანიკიძე; მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორი გიორგი მაჩაბელი და ეროვნული სამეცნიერო ფონდის გენდირექტორი მანანა მიქაბერიძე.



გამოცდებისა და შეფასების ეროვნული ცენტრის დირექტორმა მაია მიმინოშვილმა აღნიშნულ პოსტზე გასულ წელს შემოსავლის სახით, 136.339,29 ლარი მიიღო.

ამის შესახებ ინფორმაცია მიმინოშვილის ბოლო, მიმდინარე წელს შევსებულ ქონებრივ დეკლარაციაშია აღნიშნული. დეკლარაციის მიხედვით, მიმინოშვილი ფლობს 340 კვადრატული მეტრი ფართობის საცხოვრებელ სახლსა და 900 კვ. მეტრის მიწის ნაკვეთს თბილისში. რაც შეეხება მის ფინანსურ მდგომარეობას, დეკლარაციის შევსების მომენტში სხვადასხვა საბანკო ანგარიშზე მას ჯამში, 108,529.46 ლარი ჰქონდა.

თამარ სანიკიძის შემოსავალმა კი განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის პოსტზე 2017 წლის განმავლობაში 55.033 ლარი შეადგინა. სანიკიძე ფლობს 91,93 კვ. მეტრი ფართობის ბინას ბათუმში; მსუბუქ ავტომობილს BMW X5 (რომელიც სხვა პირზეა გაფორმებული). მასვე დეკლარაციის შევსების მომენტში საბანკო ანგარიშზე 3 265,07 დოლარი ჰქონდა.

განათლების მინისტრის მოადგილის ლია გიგაურის შემოსავალმა კი წინა წელს 62.870,86 ლარი შეადგინა.

ამასთან, გიგაური ფლობს 62,52 კვ. მეტრის ბინას თბილისში. რაც შეეხება მის ფინანსურ მდგომარეობას, დეკლარაციის შევსების მომენტში საბანკო ანგარიშებზე ჯამში, 449,17 დოლარი; 70,84 ევრო და 5 318.24 ლარი ჰქონდა.

მინისტრის მოადგილის თეიმურაზ მურღულიას წლიურმა შემოსავალმა კი აღნიშნულ პოსტზე 62.870 ლარი შეადგინა. ამასთან, მურღულია იკავებდა თბილისის მერის აპარატის უფროსის პოსტს, სადაც მისი წლიური შემოსავალი 44.563 ლარი იყო. 2018 წლის 30 მარტს შევსებული ქონებრივი დეკლარაციის თანახმად, მურღულია ფლობს 130 კვადრატული მეტრი ფართობის საცხოვრებელ სახლსა და 245 კვ. მეტრის მიწის ნაკვეთს ქუთაისში. მასვე ეკუთვნის მსუბუქი ავტომობილიMitsubishi Outlander, რომელიც 2017 წელს 6.700 დოლარად შეიძინა. დეკლარაციის შევსების მომენტში საბანკო ანგარიშებზე მურღულიას 500 ლარი და 3.000 დოლარი; ხოლო ნაღდი ფულადი თანხის სახით 5.000 ლარი და 4.000 დოლარი ჰქონდა.

რაც შეეხება გიორგი მაჩაბელსა და მანანა მიქაბერიძეს, მაჩაბლის შემოსავალი მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის თანამდებობაზე 69.960,07 ლარი; ხოლო რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდის უკვე ყოფილი დირექტორის მიქაბერიძის შემოსავალი 2017 წლის 1-ლი ივლისიდან 31 დეკემბრამდე პერიოდში 23.527,64 ლარი იყო. გარდა ამისა, 2017 წლის 19 აპრილიდან 30 ივნისის პერიოდში გენერალური დირექტორის მოვალეობის შემსრულებლად ყოფნისას მიქაბერიძის შემოსავალი – 7.885,25 ლარი იყო; წინა წლის 1-ლი იანვრიდან 5 აპრილამდე პერიოდში კი ეროვნული არქივის გენერალური დირექტორის მოადგილის პოსტზე – 7.600 ლარის შემოსავალი მიიღო.

ამასთან, მაჩაბელი ფლობს 130,87 კვ. მეტრის ბინას თბილისში; მსუბუქ ავტომობილს Subaru Forester-ს. რაც შეეხება მის ფინანსურ მდგომარეობას, დეკლარაციის შევსების მომენტში მას საბანკო ანგარიშებზე 211,98 დოლარი; 2.389,46 ევრო და 11.190.98 ლარი ჰქონდა.

მანანა მიქაბერიძე კი ფლობს 54 კვ. მეტრის ბინასა და 36 კვ. მეტრი ფართობის მიწის ნაკვეთს თბილისში. ასევე რამდენიმე უძრავ ქონებას ფლობენ მისი შვილები, რომელიც 2016 წელს ჩუქებით აქვთ მიღებული. ამასთან, მიქაბერიძეს საბანკო ანგარიშებზე 1.237.69 ევრო და 810.8 ლარი ჰქონდა.

# ცნობილმა დიზაინერმა ზვიად ციკოლიამ ქართული თვითმფრინავების წარმოების დაწყება, შესაძლოა, გადაიფიქროს



ცნობილმა დიზაინერმა ზვიად ციკოლიამ ქართული თვითმფრინავების სერიული წარმოების დაწყება შესაძლოა გადაიფიქროს. როგორც ცნობილია, გასულ წელს ციკოლიამ პირველ ქართული ერთადგილიანი თვითმფრინავი ააგო, რომელიც ახლა ტესტირებას გადის. მაშინ დიზაინერმა „კომერსანტთან“ განაცხადა, რომ ფინანსების მოძიების შემთხვევაში დაგეგმილი იყო სერიული წარმოების დაწყებაც.

ციკოლია განმარტავს, რომ პოლიტიკური სიტუაციის გამო პროექტის გაგრძელება კითხვის ნიშნის ქვეშ დგას.

– ჩვენთან ეკონომიკა და პოლიტიკა გადაჯაჭვულია, ამიტომ, არ ვიცით, რა იქნება. ინვესტორიც მოძიებულია, რომელიც მზად არის საქართველოში და ამ კონკრეტულ პროექტში ფული ჩადოს, თუმცა, თავს ვიკავებთ, რადგან, არ ვიცით, ქვეყანაში რა მოხდება, პოლიტიკური პროცესები როგორ განვითარდება, – აცხადებს ციკოლია.

რაც შეეხება უკვე აგებულ თვითმფრინავს, ციკოლია აცხადებს, რომ მისი თვითღირებულება 45.000 დოლარია.

ზვიად ციკოლიას თვითმფრინავის აგების იდეა რამდენიმე წელია აქვს, თუმცა ფინანსების სიმცირის გამო პროექტის განხორციელება ვერ მოხერხდა. პროექტის საწყისი კაპიტალი თიბისი ბანკმა გამოყო, შემდეგი ეტაპი კი საკუთარი ხარჯებით გაგრძელდა. სპორტული თვითმფრინავი გამოსადეგი იქნება მოკლე მანძილებზე გადასაფრენად და საზღვრებზე პატრულირებისთვის. შესაძლებელია, სარეკლამო ფუნქციაც შეითავსოს და კომპანიის სარეკლამო ბანერები გაუკეთდეს.

# გუკა რჩეულიშვილი: „ცენტრ პოინტი“ M2-სთვის საკუთარი აქტივების გადაცემას იწყებს“



„ცენტრ პოინტი“ საკუთარი აქტივების გადაცემას იწყებს. როგორც „ინტერპრესნიუსს“ „ცენტრ პოინტ ჯგუფის“ სამეთვალყურეო საბჭოს თავმჯდომარე გუკა რჩეულიშვილმა განუცხადა, მხარეებს შორის გაფორმებულ ხელშეკრულებაში ჩადებული წინაპირობების 80% შესრულებულია, დარჩენილ 20%-ს კი „ცენტრ პოინტი“ უახლოეს 10 დღეში შეასრულებს.

რჩეულიშვილის თქმით, 10 დღეშიM2 სამშენებლო სამუშაოებს დაიწყებს, ამის პარალელურად კი მაია რჩეულიშვილთან და რუსუდან კერვალიშვილთან საპროცესო შეთანხმება გაფორმდება და ისინი საპატიმროს დატოვებენ.

– ორ კვირაში M2 დაიწყებს სამუშაოებს რამდენიმე ობიექტზე. ამ სამუშაოების წარმოებისთვის „ცენტრ პოინტი“ M2-ს თავისუფალ აქტივს გადასცემს. მარტივად რომ ვთქვათ, „ცენტრ პოინტი“ ქირაობს M2-ს სამშენებლო სამუშაოების საწარმოებლად, თუმცა თანხის ნაცვლად მისცემს თავისუფალ ობიექტებს. პირველ ასეთ აქტივს ორ კვირაში გადავცემთ. მშენებლობის წარმოების პარალელურად კი მაიასთან და რუსიკოსთან გაფორმდება საპროცესო შეთანხმება და ისინი საპატიმროს დატოვებენ, – განაცხადა გუკა რჩეულიშვილმა.

IPN

# კობა გვენეტაძემ საქართველოს ეროვნული ბანკისა და მსოფლიო ბანკის ხაზინის სამუშაო შეხვედრაში მიიღო მონაწილეობა



„ანგარიშსწორებისა და ქასთოდი (ფასიანი ქაღალდების შენახვის და ანგარიშსწორების ოპერაციები) ურთიერთობების თემაზე“ „Workshop on Settlement and Custody Relations“ საქართველოს ეროვნული ბანკი, მსოფლიო ბანკის ხაზინასთან ერთად, სამუშაო შეხვედრას მასპინძლობს. ღონისძიება რეზერვების მართვის სფეროში თანამშრომლობის პროგრამის ფარგლებში ტარდება, რომელშიც საქართველოს ეროვნული ბანკი 2009 წელს გაწევრიანდა.

პროგრამა მიზნად ისახავს მსოფლიო ბანკის დახმარებით წევრ ცენტრალურ ბანკებში და სხვა აქტივების მენეჯერ ორგანიზაციებში, როგორებიცაა საპენსიო ფონდები და სუვერენული ფონდები, საუკეთესო საერთაშორისო გამოცდილების დანერგვას. პროგრამა მოიცავს ისეთ საკითხებს, როგორებიცაა პორტფელის მართვა, რისკების მართვა, ანგარიშსწორება, ბუღალტრული აღრიცხვა და ფინანსური ანგარიშგება, საოპერაციო რისკების მართვა, აუდიტი და საინფორმაციო ტექნოლოგიები. პროგრამაში მონაწილეობის პერიოდში, მსოფლიო ბანკის ხაზინის დახმარებით, ეროვნულმა ბანკმა საგრძნობლად გააუმჯობესა რეზერვების მართვის პროცესი, დანერგა ახალი ინსტრუმენტები, სისტემები და მიდგომები.

სამუშაო შეხვედრა საქართველოს ეროვნული ბანკის პრეზიდენტმა კობა გვენეტაძემ გახსნა, რომელმაც ვრცლად ისაუბრა მსოფლიო ბანკთან თანამშრომლობით მიღწეულ წარმატებულ შედეგებზე და ხაზი გაუსვა განსახილველი საკითხების მნიშვნელობასა და მონაწილეთა შორის გამოცდილების გაზიარების უნიკალურ შესაძლებლობას.

სამუშაო შეხვედრაზე მონაწილეები განიხილავენ ფასიანი ქაღალდებით ანგარიშსწორების საკითხებს, ასევე, საოპერაციო მოთხოვნებს, კიბერუსაფრთხოებისა და ახალი ტექნოლოგიების გამოყენების საკითხებს.

სამუშაო შეხვედრა ერთკვირიანია და მას 30-ზე მეტი ქვეყნიდან 40-ზე მეტი მონაწილე ესწრება.

კომერსანტი

# თბილისის აეროპორტში ფსიქოტროპული ნივთიერების შემცველი მედიკამენტები აღმოაჩინეს



საბაჟო გამშვებ პუნქტ „თბილისის აეროპორტში“ ფსიქოტროპული ნივთიერების შემცველი მედიკამენტები აღმოაჩინეს.

ამის შესახებ „ინტერპრესნიუსს“ ფინანსთა სამინისტროს შემოსავლების სამსახურიდან აცნობეს.

მათივე ინფორმაციით, 9 სექტემბერს, საბაჟო გამშვებ პუნქტ „თბილისის აეროპორტში“ ფინანსთა სამინისტროს შემოსავლების სამსახურის მებაჟე ოფიცრებმა, ეჭვის საფუძველზე, ირანის ისლამური რესპუბლიკის მოქალაქის, ა.ა-ს კუთვნილი ბარგის დათვალიერების შედეგად, ფსიქოტროპული ნივთიერების შემცველი მედიკამენტები (69 აბი) აღმოაჩინეს.

საქმეთა მასალები, შემდგომი რეაგირების მიზნით, შინაგან საქმეთა სამინისტროს ისან-სამგორის მე-6 განყოფილებას გადაეცა.

# ავარია ახმეტაში — დაშავებულია სამი ადამიანი




ახმეტაში ავტოსაგზაო შემთხვევის შედეგად 3 ადამიანი დაშავდა. ერთმანეთს სატვირთო და მსუბუქი ავტომანქანები შეეჯახა.

დაშავებულები თელავის რეფერალურ საავადმყოფოში გადაიყვანეს.

შინაგან საქმეთა სამინისტროს ინფორმაციით, გამოძიება სისხლის სამართლის კოდექსის 276-ე მუხლის პირველი ნაწილით დაიწყო, რაც ტრანსპორტის მოძრაობის უსაფრთხოების ან ექსპლუატაციის წესის დარღვევას გულისხმობს, რამაც გამოიწვია ჯანმრთელობის დაზიანება.

# სუს-ში „ბოტანიკური ბაღების მართვის ცენტრის“ საქმეზე ზუგდიდის მერი გამოკითხეს

სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურში „ბოტანიკური ბაღების მართვის ცენტრის“ საქმეზე ზუგდიდის მერი ლაშა გოგია გამოკითხეს. ამის შესახებ „ინტერპრესნიუსს“ სუს-ში განუცხადეს.

— ბოტანიკური ბაღების მართვის ცენტრის საქმიანობის შესწავლა მიმდინარეობს. ამ შესწავლის ფარგლებში დაიკითხა ზუგდიდის მერი, — განაცხადეს სუს-ში.

ამავე საქმეზე უკვე გამოიკითხა „ბოტანიკური ბაღების მართვის ცენტრის“ უფროსი ზვიად ქარჩავა. ქარჩავას თქმით, მან გამოძიებას ა(ა)იპ-ის საქმიანობის შესახებ მიაწოდა ინფორმაცია. რაც შეეხება მერს ლაშა გოგიას, ის ამჟამად საქართველოში არ იმყოფება.




სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის ანტიკორუფციულმა სააგენტომ, შესაძლო დანაშაულის გამოვლენის მიზნით, ა(ა)იპ „ბოტანიკური ბაღების მართვის ცენტრის“ საქმიანობის შესწავლა გასულ თვეს დაიწყო. მაშინ მერიაში აცხადებდნენ, რომ ორგანიზაციას ყველაფერი წესრიგში აქვს.

# „ჟურნალისტური ეთიკის ქარტია“: უნდა დაიწყოს გამოძიება

ტელეკომპანია „იბერიას“ ირგვლივ განვითარებულ მოვლენებს, ჟურნალისტური ეთიკის ქარტია ეხმაურება და მნიშვნელოვნად მიიჩნევს, გავრცელებული აუდიო ჩანაწერების შესწავლის მიზნით დაიწყოს გამოძიება:

— საქართველოს ჟურნალისტური ეთიკის ქარტია ყურადღებით აკვირდება ტელეკომპანია „იბერიის“ ირგვლივ განვითარებულ მოვლენებს. ტელეკომპანიის ჟურნალისტები აცხადებენ, რომ მათ არხზე ხორციელდება ხელისუფლების ზეწოლა დამფინანსებელი კომპანიისთვის პრობლემების შემქმნით. გამოქვეყნდა აუდიოჩანაწერები, რომელიც შესაძლოა შეიცავდეს დანაშაულის ნიშნებს, ამიტომ ქარტია მნიშვნელოვანად




მიიჩნევს, გავრცელებული ჩანაწერების შესწავლის მიზნით დაიწყოს გამოძიება, რათა დადგინდეს, აქვს თუ არა კავშირი ხელისუფლებას ამ საუბრების შინაარსთან და მასში მონაწილე პირებთან. სახელმწიფო უწყებებმა ტელეკომპანიასთან და მის მთავარ დამფინანსებელთან დაკავშირებით მოლაპარაკებები და სხვა ქმედებები წარმართონ გამჭვირვალედ და საზოგადოებას მიაწოდონ სრული ინფორმაცია.

რამდენიმე დღეა „იბერია“ საგანგებო რეჟიმში მაუწყებლობს და წლის განმავლობაში უკვე მეორედ ჟურნალისტები აცხადებენ, რომ არ იციან გააგრძელებენ თუ არა მუშაობას. შექმნილი ვითარება ქვეყანაში არაჯანსაღი მედიაგარემოს ნიშნებზე მიუთითებს, რაც პირველ რიგში აზიანებს საზოგადოების ინტერესს, განსაკუთრებით კი წინასაარჩევნო პერიოდში, როდესაც მოქალაქეები მნიშვნელოვანი პოლიტიკური გადაწყვეტილების მიღების პროცესში იმყოფებიან.

საქართველოს ჟურნალისტური ეთიკის ქარტია მოუწოდებს დამფუძნებლებს და მთავრობას, მათ შორის წარმოქმნილ გაუგებრობაში არ მოხდეს ჟურნალისტთა გამოყენება და იბერიის თანამშრომლების უფლებების შელახვა, — ნათქვამია ქარტიის განცხადებაში.

# პრეზიდენტი: „კომპანია ამბობს, ნუ დაგვახრჩობთო და ამაზე პასუხია — ტელევიზია დათმეთ“

კომპანია ამბობს, რომ ნუ დაახრჩობთ, ნუ დაკეტავთ ბიზნესს, მოგვეცით საშუალება გავისტუმროთ რაღაც გრაფიკთ და ამაზე პასუხი არის — დათმე ბიზნესი — საქართველოს პრეზიდენტმა ტვ იბერიაში არსებულ ვითარებაზე ისაუბრა ტვ პირველის გადაცემა „რეაქციაში“.

გიორგი მარგველაშვილის თქმით, ბიზნესსა და თავისუფალ მედიაზე ზეწოლის ფორმები შეიცვალა, მაგრამ შინაარსი არ შეცვლილა.

— ბიზნესიც სიკეთეა ტელევიზიაც, ორივე უნდა არსებობდეს... გვაჩვენონ პროცესი, როცა მოხდება ამ საქმის ისე გადაწყვეტა, რომ არ ბიზნესს დავანგრევთ და ტელევიზიას ექნება საშუალება იფუნქციონიროს.

თუ შედარებაზე წავალთ, ერთი სტილია, როგორც შევარდნაძის დროს შევიდნენ რუსთავი 2-ში, სხვა სტილი იყო, მერე ავტომატებით შევარდნა და ჟურნალისტების და მოქალაქეების ცემა, და სხვა სტილია საგადასახადო დავების წამოჭრა... შინაარსი იმის, რომ თავისუფალ მედიას ექმნება პრობლემები და ამ პრობლემების წარმოქმნის წყარო არის ხელისუფლება, თუ ეს შინაარსი არ შეიცვალა, თუ ეს არ გახდა მიუღებელი, მათ შორის ბიზნესებისთვის პრობლემების შექმნა, როცა ბიზნესიდან შემოდის შემოსავალი და იქ ხდება მოქალაქეების დასაქმება, — განაცხადა პრეზიდენტმა.

# დონაძე: „81 მოწმიდან მოიყვანეს 27 და დამალეს მთავარი“



გურამ დონაძე მთავარ პროკურატურას მტკიცებულებების გაყალბებაში ადანაშაულებს. დონაძე ამბობს, რომ ბუტა რობაქიძის საქმეზე, პროკურატურის მიერ წარდგენილი 81 მოწმიდან სასამართლოზე ჩვენება მხოლოდ 27-მა მისცა. დონაძის თქმით, მოწმის სტატუსით არ გამოკითხულა რობაქიძესთან ავტომანქანაში მჯდომი კახაბერ აზარიაშვილი და არ გამოკითხულან I ფედერალური ექსპერტები, რომლებმაც საქმეში არსებული ფირების ექსპერტიზა ჩაატარეს.

გურამ დონაძე ამბობს, რომ პროკურატურამ მის წინააღმდეგ ცრუ ჩვენების მისაცემად გამოიყენა ის სამართალდამცველები, რომლებიც შემთხვევის ადგილზე 24 ნოემბერს დაკავებულებს ფიზიკურ და სიტყვიერ შეურაცხყოფას აყენებდნენ და რომლებიც დღესაც მუშაობენ სამართალდამცავ სტრუქტურებში.

— 81 მოწმიდან დაახლოებით მოიყვანეს 27 მოწმე და დამალეს მთავარი, არ მოიყვანეს ფედერალური ბიუროს ორი ექსპერტი და გამომძიებელი და გადამალა ერთ-ერთი მთავარი მოწმე, მათი მოწმე, კახაბერ აზარიაშვილი, რომელიც იჯდა ამირან რობაქიძესთან ერთად იმ დღეს მანქანაში და რომელიც წერს, 2006 წელს, რომ ამ ავტომანქანაში, მას ედო მაკაროვის ცეცხლსასროლი იარაღი, — განაცხადა გურამ დონაძემ.

# შეიარაღებული ძალების რაოდენობა უცვლელი რჩება

ეროვნული უშიშროების საბჭოს გადაწყვეტილებით, შეიარაღებული ძალების რაოდენობა უცვლელი რჩება — ამის შესახებ უშიშროების საბჭოს მდივანმა დავით რაქვიაშვილმა უშიშროების საბჭოს სხდომის დასრულების შემდეგ ჟურნალისტებს განუცხადა.

— ვიმსჯელეთ უშიშროების საბჭოს კონსტიტუციურ ვალდებულებაზე — ეს არის შეიარაღებული ძალების რიცხოვნობის დადგენა. ამასთან დაკავშირებით გადაწყვეტილება მიღებულია. შეიარაღებული ძალების რაოდენობა რჩება უცვლელი. ეს არის 37.000. ვიმსჯელეთ შეიარაღებულ ძალებში მიმდინარე რეფორმებზე, მათ შორის განათლების მიმართულებით, რეზერვის სისტემის განვითარების მიმართულებით. თავდაცვის მინისტრმა ასევე წარმოადგინა შესყიდვების მხრივ გრძელვადიანი ხედვა და ასევე ვისაუბრეთ ტოტალური თავდაცვის კონცეფციასა და ეროვნული მედეგობის გაზრდის შესაძლებლობებზე.

ეს, ალბათ, უშიშროების საბჭოს ბოლო სხდომაა. იმედია, არაფერი ისეთი არ მოხდება ქვეყანაში, რომელიც იძულებულს გაგვხდის, უშიშროების საბჭოს სხდომა იქნეს მოწვეული, — განაცხადა რაქვიაშვილმა.



# სარფსა და ქუთაისის აეროპორტში არადეკლარირებული ოქროს ნაკეთობები აღმოაჩინეს



სარფსა და ქუთაისის აეროპორტში არადეკლარირებული ოქროს ნაკეთობები აღმოაჩინეს. ამის შესახებ „ინტერპრესნიუსს“ ფინანსთა სამინისტროს შემოსავლების სამსახურიდან აცნობეს.

მათივე ინფორმაციით, 9 სექტემბერს, საბაჟო გამშვები პუნქტებში „სარფი“ და „ქუთაისის აეროპორტი“, არადეკლარირებული ოქროს საზღვარზე უკანონოდ შემოტანის სამი ფაქტი აღიკვეთა.

უწყების ცნობით, ფინანსთა სამინისტროს შემოსავლების სამსახურის მებაჟე ოფიცრებმა, ეჭვის საფუძველზე, საქართველოსა და აზერბაიჯანის მოქალაქეების, გ.პ-ს, მ.გ-სა და ვ.მ-ს კუთვნილი ხელბარგებისა და ფიზიკური დათვალიერების შედეგად, 18,008.5 ლარის ღირებულების, არადეკლარირებული ოქროს, საიუველირო ნაკეთობები (საერთო წონა 236.54 გრამი) აღმოაჩინეს.

საგადასახადო კოდექსის 289-ე მუხლის მე-10 ნაწილის თანახმად, კანონდამრღვევ მოქალაქეებს, სანქციის სახით, ფულადი ჯარიმა, საერთო ჯამში, 18,008.5 ლარის ოდენობით შეეფარდათ.

განსაკუთრებით დიდი ოდენობით ნარკოტიკების უკანონოდ შეძენა-შენახვისთვის ბრალდებულ ირანის მოქალაქეს 10 წლით პატიმრობა მიესაჯა.

განსაკუთრებით დიდი ოდენობით ნარკოტიკული საშუალების უკანონოდ შეძენა-შენახვისთვის ირანის ისლამური რესპუბლიკის მოქალაქე სასამართლომ დამნაშავედ ცნო.

როგორც „ინტერპრესნიუსს“ საქართველოს პროკურატურიდან აცნობეს, ბათუმის საქალაქო სასამართლომ გაიზიარა ბრალდების მხარის მიერ წარდგენილი მტკიცებულებები და განსაკუთრებით დიდი ოდენობით ნარკოტიკული საშუალების უკანონოდ შეძენა-შენახვისთვის ბრალდებული ირანის ისლამური რესპუბლიკის მოქალაქე ჰ. ხ. დამნაშავედ ცნო.

— სასამართლო პროცესზე გამოკვლეული მტკიცებულებებით დადგინდა, რომ ჰ.ხ.-მ უკანონოდ შეიძინა და ინახავდა განსაკუთრებით დიდი ოდენობით — 52,8896 გრ. ნარკოტიკულ საშუალება ჰეროინს, რაც მისგან იქნა ამოღებული.

სამართალდამცველებმა ჰ.ხ. 2018 წლის 6 მარტს ბათუმში დააკავეს. მას ბრალდება სისხლის სამართლის კოდექსის 260-ე მუხლის მე-6 ნაწილის „ა“ ქვეპუნქტით (განსაკუთრებით დიდი ოდენობით ნარკოტიკული საშუალების უკანონო შეძენა-შენახვა) წარედგინა და აღკვეთის ღონისძიების სახით პატიმრობა შეეფარდა.

ბათუმის საქალაქო სასამართლომ ჰ.ხ. დამნაშავედ ცნო წარდგენილ ბრალდებაში და სასჯელის სახედ და ზომად 10 წლით თავისუფლების აღკვეთა განუსაზღვრა, — ნათქვამია ინფორმაციაში.

# გორში მაღაზია გატეხეს — მოპარულია ერთი შეკვრა სიგარეტი

გორში 11 სექტემბერს მაღაზია გატეხეს.

არსებული ინფორმაციით, შემთხვევა კოსტავას ქუჩაზე მოხდა.

როგორც „ნიუპოსტის“ კორესპონდენტი ადგილიდან იუწყება, წაღებულია 200 ლარამდე თანხა და ერთი შეკვრა სიგარეტი.

მომხდარზე გამოძიება შსს-მ 177-ე მუხლის მე-2-ე ნაწილის ბ ქვეპუნქტით დაიწყო. აღნიშნული მუხლი 3-დან 5 წლამდე თავისუფლების აღკვეთას ითვალისწინებს.

# ვის სურდა მამა-შვილი სკრიპალების სიკვდილი?!

დასავლეთში გრძელდება აჟიოტაჟი მამა-შვილ სკრიპალების მოწამვლის გამო. რუსეთის სახელმწიფო მართლაც სავალალო დღეში ჩავარდა. ექსპერტები აკეთებენ პარალელს სტეპან ბანდერას (1909–1959) მკვლელობასთან, რომელიც მიუნჰენში 1959 წლის ოქტომბერში მოხდა. ბანდერას მკვლელი, სუკის სპეცაგენტი ბოგდან სტაშინსკი გერმანიის პოლიციას თავად ჩაბარდა. მისი სასამართლო საბჭოთა რეჟიმის სასამართლოდ გადაიქცა. ამან ისეთი რეზონანსი იქონია, რომ მოსკოვი იძულებული შეიქმნა, საზღვარგარეთ ტერაქტები მკვეთრად შეემცირებინა, თუმცა ამაზე უარი არ თქმულა, რისი დადასტურებაცაა სუკის ყოფილი ოფიცრის არტამონოვის (შადრინი) ლიკვიდაცია, გიორგი მარკოვის ან ამინის მკვლელობები.



– ბანდერა უკრაინული ეროვნული მოძრაობის ლიდერი იყო. მან მოსკოვს მართლაც სერიოზული პრობლემები შეუქმნა. რა გახდა გრუ-ს ყოფილი ოფიცერი სკრიპალი? ნუთუ ისეთ საშიშროებას წარმოადგენდა, რომ მისი ლიკვიდაციისათვის სპეცოპერაციის ჩატარება გახდა საჭირო? – ამ კითხვას ბი-ბი-სი სვამს.

„ნიუ-იორკ ტაიმსმა“ მამა-შვილ სკრიპალების მოკვლასთან დაკავშირებით სენსაციური ინფორმაცია გამოაქვეყნა. გაზეთი იმოწმებს ანონიმურ წყაროს, რომლის ცნობის თანახმად, გრუ-ს ყოფილი ოფიცერი სკრიპალი ესპანეთის სპეცსამსახურებზე მუშაობდა. რუსული მაფიის წინააღმდეგ ოპერაციების წარმოებისას ის ფასდაუდებელ კონსულტაციებს იძლეოდა. სწორედ სკრიპალის დახმარებით მოხერხდა რუსული მაფიის კავშირების დადგენა რუსული სპეცსამსახურების ხელმძღვანელებთან და კრემლის მაღალჩინოსნებთან. ამბობენ, კვალი უშუალოდ პუტინამდე მიდისო. პასუხად მოსკოვმა სკრიპალის ლიკვიდაცია სცადა.

სუკის ყოფილი გენერალი ოლეგ კალუგინი, რომელიც ახლა აშშ-ში ცხოვრობს, მომხდარზე ფრიად საინტერესო კომენტარს აკეთებს. აღსანიშავია, რომ სუკ-ში მუშაობისას კალუგინი ერთხანს ვლადიმერ პუტინის უშუალო უფროსი იყო.

– ეჭვი მეპარება, რომ სკრიპალების ლიკვიდაციის საქმეში გრუ იყოს გარეული. ასეთი საქმეები ჩვეულებრივ ფსბ-ს კომპეტენციაშია, – ამბობს კალუგინი.

საყოველთაოდ ცნობილია, რომ რუსულმა მაფიამ ევროპაში ფესვები გაიდგა. არც ის წარმოადგენს საიდუმლოებას, რომ ამ მაფიოზური ჯგუფების უკან რუსული არმიისა და სპეცსამსახურების ხელმძღვანელები დგანან. სუკის ექსგენერლის აზრით, მართლაც ლოგიკურია, რომ სკრიპალის მოშორება რუსულ მაფიას მოესურვებინა, თუკი სკრიპალმა მას პრობლემები შეუქმნა.

– დაბეჯითებით არაფრის თქმა არ შემიძლია. ვერც იმას გეტყვით, კვალი მართლა პუტინამდე მიდის თუ არა, რადგანაც სათანადო ინფორმაცია არა მაქვს, – ამბობს კალუგინი.

ამავე დროს სუკის ექსგენერალმა ხაზი გაუსვა, რომ ბრიტანეთის ხელისუფლებამ სკრიპალების მოწამვლის საქმეზე იმაზე მეტი იცის, ვიდრე ლაპარაკობს.

– რატომ დუმან ინგლისელები? რუსეთთან ზედმეტ გართულებებს ერიდებიან? – თქვა კალუგინმა.

მამა-შვილ სკრიპალების გარშემო აჟიოტაჟი გრძელდება. რუსეთს ეს უკვე ძალიან ძვირი დაუჯდა და მომავალში კიდევ უფრო ძვირი დაუჯდება.

# აშშ-ის ხელისუფლებამ რუსეთი გააფრთხილა

სირიის დიქტატორმა ბაშარ ასადმა განაცხადა, რომ იდლიბში შტურმის სამზადისი დასასრულს მიუახლოვდა. ასადი ამბობს, რომ ქლორინის გამოყენების ბრძანება გასცა. ამან აშშ-ის ხელისუფლების რისხვა გამოიწვია.

– თუ ასადმა ქიმიური იარაღი კვლავაც გამოიყენა, პასუხი ბევრად უფრო სასტიკი იქნება, ვიდრე ადრე, – ამბობს აშშ-ის პრეზიდენტის მრჩეველი ეროვნული უსაფრთხოების დარგში ჯონ ბოლტონი.




აშშ-ის ხელისუფლებამ პარალელურად რუსეთის მთავრობაც გააფრთხილა, რომ თუ რუსეთი ასადს დაიცავს, მაშინ ამერიკელი სამხედროები რუსების წინააღმდეგ ძალას გამოიყენებენ. თანახმად უკანასკნელი ინფორმაციისა, რუსულმა ავიაციამ იდლიბი უკვე დაბომბა. მიზანში ამოღებული იყო საავადმყოფოები და სამოქალაქო ინფრასტრუქტურის სხვა ობიექტები. 11 სექტემბერს შორეულ აღმოსავლეთში რუსეთის არმიის სამხედრო მანევრები „ვოსტოკი 2018“ დაიწყო. ექსპერტები თვლიან, რომ ესაა ძალის დემონსტრირება იდლიბში სიტუაციის გართულების წინ.

თანახმად რადიო „თავისუფლების“ ინფორმაციისა, ტრამპს ჯერ არ მიუღია გადაწყვეტილება, თუ როგორ იმოქმედოს სირიაში. განიხილება ასადის არმიაზე დარტყმის ვარიანტი, ასევე სირიის რეჟიმის წინააღმდეგ ახალი სანქციების შემოღებაც.

# ერდოღანი: „ასადი იდლიბში არ უნდა შევუშვათ!“

თურქეთის პრეზიდენტმა რეჯებ ერდოღანმა იდლიბში შექმნილ მდგომარეობას კატასტროფული უწოდა. ერდოღანმა ხაზი გაუსვა, რომ ასადი იდლიბის შტურმისათვის ემზადება და ეს ჰუმანიტარული კატასტროფის საშიშროებას ქმნის.



– ასადი იდლიბში არ უნდა შევუშვათ! თუკი საერთაშორისო საზოგადოებამ საკმაო პრინციპულობა არ გამოიჩინა, ეს მას ძალიან ძვირი დაუჯდება, – თქვა ერდოღანმა.

# რუსების ახალი პროვოკაცია

რუსეთის ფედერალური უშიშროების სამსახურის (ფსბ) პრესცენტრმა გაავრცელა ინფორმაცია, რომ სმოლენსკის მახლობლად ტერორისტი შეიპყრეს. მისი გვარია მაგომედოვი. წარმოშობით ის დაღესტნიდანაა. დაკითხვაზე მან აღიარა, რომ ექსტრემისტული ორგანიზაცია „ერაყისა და ლევანტის ისლამური სახელმწიფოს“ წევრია. მაგომედოვმა განაცხადა, რომ უკრაინის უშიშროების სამსახურის (სბუ) და ნაციონალისტური ორგანიზაცია „მემარჯვენე სექტორის“ დავალებით ტერაქტის მოწყობას გეგმავდა. კერძოდ, დავალებული ჰქონდა ე.წ. დონეცკის რესპუბლიკის ერთ-ერთი ლიდერის ლიკვიდაცია. თავად ლიდერის გვარს რუსი ჩეკისტები არ ასახელებენ.




უკრაინის უშიშროების სამსახურმა ბრალდება ოფიციალურად უარჰყო. განცხადებაში ნათქვამია, რომ რუსეთი უკრაინის წინააღმდეგ საინფორმაციო ომს აქტიურებს და ახალ პროვოკაციებს აწყობს. მაგომედოვის ე.წ. „ჩვენებაც“ ამისი ნათელი დადასტურებაა.

# გენადი ზიუგანოვი: „დროა დონბასი რუსეთის ტერიტორიად ვაღიაროთ!“

დონბასში ბრძოლები გრძელდება. ოკუპანტებისა და სეპარატისტების ყველა მცდელობა უკრაინელები დაკავებული პოზიციებიდან განდევნონ, მარცხით მთავრდება. თანახმად უკანასკნელი ცნობისა, რუსებმა უკრაინელთა პოზიციებს ცეცხლი 22-ჯერ გაუხსნეს. დაიღუპა 1 უკრაინელი ჯარისკაცი, 4 დაიჭრა. საპასუხო ცეცხლით განადგურებულია 2 ოკუპანტი. მტერმა ამჯერადაც უკან დაიხია.

რუსი კომუნისტების ლიდერი ზიუგანოვი აცხადებს, რომ რუსეთის ხელისუფლებამ რაიმე უნდა მოიმოქმედოს. ომი მეხუთე წელია გრძელდება; დონბასში რუსი ჯარისკაცები პანტა-პუნტით იღუპებიან; 5 მილონ-ნახევრიანი დონბასის მოსახლეობა მილონამდე შემცირდა; თავად ომი რუსეთს 5 მილიარდზე მეტი დაუჯდა.

–ასე გაგრძელება აღარ შეიძლება! – ამბობს ზიუგანოვი.

რუსი კომუნისტების ლიდერმა მოუწოდა პუტინს, რომ დონბასი რუსეთის ტერიტორიად აღიაროს.

– აუცილებელია დონბასი რუსეთის ტერიტორიად ვაღიაროთ და იქ რუსული არმიის დამატებითი ნაწილები შევიყვანოთ, – ამბობს ზიუგანოვი.

# აშშ-ში 11 სექტემბრის ტერაქტის მსხვერპლთა ხსოვნას პატივი მიაგეს

11 სექტემბრის ცნობილი ტერაქტის შემდეგ 17 წელი გავიდა. აშშ-ში მსხვერპლთა ხსოვნას პატივი მიაგეს. თეთრმა სახლმა ამასთან დაკავშირებით განცხადება გააკეთა, რომელშიც ნათქვამია, რომ 11 სექტემბერი ამერიკელთა გულებში სამუდამოდ დარჩება და ამ დღეს ყველა დაღუპულთა სულების მოსახსენებლად ლოცვას აღავლენს.

პრეზიდენტმა ტრამპმა 11 სექტემბერს მემორიალი მოინახულა. ყველა ეკლესიაში კი დაღუპულთა სულების მოსახსენებელი პანაშვიდები ჩატარდა.

ტრამპი ვუდვორთის წიგნის კრიტიკას განაგრძობს

ცნობილი ჟურნალისტის ბობ ვუდვორთის წიგნი „საშიშროება: ტრამპი თეთრ სახლში“ ბესტსელერად იქცა. თანახმად „ამერიკის ხმის“ ცნობისა, ის ყველაზე მოთხოვნადი წიგნია. მიუხედავად ამისა, ტრამპი მის კრიტიკას განაგრძობს.

– ვუდვორთის წიგნი სასაცილოა! ყველაფერი რაც იქ წერია, მტკნარი სიცრუეა! – თქვა ტრამპმა.



# ვლადიმერ პუტინი იაპონიის პრემიერს შეხვდა

ვლადივოსტოკში ვლადიმერ პუტინისა და იაპონიის პრემიერის აბეს შეხვედრა გაიმართა. მოლაპარაკების ძირითადი თემა რუსეთ-იაპონიის ურთიერთობები იყო.



პუტინმა კურილის კუნძულების საკითხი კვლავ წამოჭრა. როგორც ცნობილია, ეს რუსეთ-იაპონიას შორის სამშვიდობო შეთანხმების დადებას ხელს უშლის. მხარეები ვერც ამჯერად შეთანხმდნენ და კურილის კუნძულების გარშემო პროგრესს ვერ მიაღწიეს.

# რუსეთში ადგილობრივი არჩევნები დასრულდა

რუსეთში ადგილობრივი არჩევნები დასრულდა. როგორც ცნობილია, ის მასობრივი საპროტესტო აქციების ფონზე წარიმართა. ხელისუფლებამ აქციები არნახული სისასტიკით ჩაახშო.

არჩევნების უმთავრესი მახასიათებელი იყო მოსახლეობის პასიურობა. ასე, მაგალითად, მოსკოვის მერის არჩევნებში მონაწილეობა მხოლოდ 30 %-მა მიიღო. წინა არჩევნებში ეს მაჩვენებელი 32% იყო. მოქმედმა მერმა სობიანინმა გაიმარჯვა. მმართველმა პარტია „ედინაია როსიამ“ მარცხი განიცადა ულიანოვსკში, ხაკასიაში, ტოლიატში, ნოვოსიბირსკში. იქ პირველ ადგილზე კომუნისტები გავიდნენ.




მოამზადა ნიკა თევზაძემ


# განცხადებები

## სხვადასხვა

● სტომატოლოგიური მომსახურება ბინაზე გამოძახებით, კბილების პროთეზირება. ერთი ყბის ფასი 150 ლარი. კეთდება რუსული, იტალიური, იაპონური კბილები, გარანტიით. ტელ: 555-72-64-98

## ჯანმრთელობა, მკურნალობა

● მკურნალობა მამაკაცებისათვის: პროსტატიტი, ადენომა, ხშირი შარდვა, შარდის შეკავება-შეუკავებლობა, უნებლიე შარდვა, წვა-ტკივილი შარდვისას, პოტენციის დაქვეითება (იმპოტენცია), კუჭ-ნაწლავის პრობლემების მკურნალობა მცენარეული პრეპარატებით, უკუჩვენების გარეშე, გარანტიით. მის: აღმაშენებლის 154, „მწვანე ოფისი“. ტელ: 558-15-63-87; 218-46-08 ექიმი მეგი.

● ძვლის პრობლემების მკურნალობა: კოქსართროზის, ოსტეოპოროზის, ოსტეოქონდროზის, რევმატოიდული და პოდაგრული ართრიტი, ტკივილის, შეშუპების, შებოჭილობის მოხსნა, მკურნალობა საოპერაციო და ნაოპერაციებ სახსრებზე, დაზიანებული ხრტილისა და სახსარში სითხის ბალანსის აღდგენა-მკურნალობა უკუჩვენების გარეშე 100%-იანი გარანტიით. მის: აღმაშენებლის 154, „მწვანე ოფისი“. ტელ: 558-15-63-33; 218-46-08 ექიმი ნინო.

● კუჭ-ნაწლავის არასწორი კვებით გამოწვეული დარღვევებისგან: კოლიტი, დისბაქტერიოზი, დიარეა, კრონი, ბუასილი, გამონაყარი სახესა და ტანზე ასაკობრივი და პარაზიტული, უსიამოვნო სუნი პირიდან და ორგანიზმიდან თავის დაღწევა, გულ-სისხლძარღვთა სისტემის საერთო წმენდა-გაძლიერება-გაახალგაზრდავება, ღვიძლის გაწმენდა უჯრედულ დონეზე, გამოკვლევები უახლესი აპარატურით 15 წუთში, გაჯანსაღება 100%-ით მცენარეული ეკოპრეპარატებით და ეკოსანთლებით. შედეგები მყარია, უკუჩვენებათა გარეშე. ტელ: სამსახ. 247-58-83 ან 571-72-03-11.

● მეხსიერების გაუმჯობესება, ტვინის კვების აღდგენა, სკლეროზის, ინსულტის, ინფარქტის, თრომბის თავიდან აცილება, გულ-სისხლძარღვთა სისტემის გაწმენდა ქოლესტერინისგან, წნევების დარეგულირება, ღვიძლის გაწმენდა, სხეულის წონის კორექცია: დაკლება 5-დან 20 კგ-მდე, მომატება 2-დან 6 კგ-მდე თვეში. გაჯანსაღება 100%-ით მცენარეული ბიოპრეპარატებით. უკუჩვენებათა გარეშე. ტელ: 577-29-37-41 ან 247-58-83 ქ-ნი ქეთევანი.

● სიმაღლეში ზრდა კურსით 3-6 სმ-ის მომატებით, ძვლის მკვებავი მინერალების, ვიტამინებისა და ამინომჟავების ნაკრებით + ვარჯიშებით, ეფექტურია გენეტიკური სიდაბლის დროსაც. პროგრამა-დანიშნულება ინდივიდუალურია და გამეორება შეგიძლიათ სასურველი შედეგის მიღებამდე (26 წლამდე). ასევე გახდომა სწორი კვებით აკრძალვების გარეშე, ნივთიერებათა ცვლის მოწესრიგებით კურსით 5-18 კგ-ის დაკლებით. წონის მომატება კურსით 1-5 კგ-მდე. სწრაფად და ეფექტურად იმუნიტეტის გაძლიერებით. მიღებული შედეგის სტაბილურად შენარჩუნებით. ტელ: 599-72-21-48 ან 234-02-38 ქ-ნი მარიამი.

● მამაკაცების გაჯანსაღების ცენტრი – სქესობრივი უძლურებისა და შარდ-სასქესო სისტემის ფუნქციათა მოწესრიგება, პროსტატის ჯირკვლის ზრდის შეჩერება-უკუსვლა-სტაბილიზაცია-პოტენციის აწევა, შარდის შეკავება-შეუკავებლობა, წვა, ტკივილი, ქავილი, გაორებული შარდის ნაკადი, უნებლიე შარდვა (ბავშვებშიც), ქრონიკული სოკოვანი, ბაქტერიული, ვენერიული ინფექციისგან გაწმენდა. რეპროდუქციული ფუნქციების აღდგენა-შენარჩუნება, გაჯანსაღება ეკობიო-მცენარეული პრეპარატებით, იმუნიტეტის გაძლიერებით. უკუჩვენების გარეშე. მყარი, საუკეთესო შედეგებით. ტელ: 577-29-37-41 ან 234-02-38 ქ-ნი ქეთევანი.

● ძვალ-სახსართა ნებისმიერი პრობლემის მოგვარება: კოქსართროზით, ოსტეოქონდროზით, ოსტეოართროზით, პოდაგრული ართრიტით, მაანკილოზირებული სპონდილოზით და სხვა გამოწვეული დაზიანებული ხრტილისა და გაცვეთილი ძვლის სტრუქტურის აღდგენა, სითხის დაბალანსება სახსარში, ტკივილების, შებოჭილობის, კრუნჩხვების და შეზღუდულობის მოხსნა, ნერვული სისტემისა და ძილის მოწესრიგება, ასევე გაჯანსაღება უკვე ნაოპერაციები სახსრების ძვლის მკვებავი 100%-ით ეკობიოპრეპარატებით, წონის კორექციით, სისხლძარღვების ქოლესტერინისგან გაწმენდით, 22-წლიანი გამოცდილებით. ტელ: 599-90-54-78 ან 247-58-83 ქ-ნი ქეთათო.

● ალკოჰოლისა და ნარკოტიკებისადმი დამოკიდებულების მოხსნა და აცილება, ნევროზის, დეპრესიის, უძილობის, აკვიატების, აგრესიით, „თეთრი ცხელების“, მეხსიერების დაბინდვა-დაქვეითების დარეგულირება, კუჭ-ნაწლავის ნებისმიერი პრობლემის მოგვარება, ღვიძლისა და სისხლის დეტოქსიკაცია უჯრედულ დონეზე, სისხლძარღვების გაწმენდა ქოლესტერინისგან, პოტენციის და იმუნიტეტის აწევა, შარდის აქტის მოშლისა და ენურეზისაგან განთავისუფლება, გაჯანსაღება ეკობიოპრეპარატებით. საჭირო კვლევები უახლესი აპარატურით (15 წუთში), 22-წლიანი გამოცდილებით, უკუჩვენებათა გარეშე, მყარი შედეგები. სუპერმენეჯერი ქ-ნი ქეთევანი. ტელ: 599-72-21-38 ან 234-02-38.

# ილიას ზუროსმა ისრაელში 12 რჩეული იახლა



ხვალ საქართველოს კალათბურთელთა ეროვნული ნაკრები მსოფლიოს ჩემპიონატის შესარჩევი ტურნირის მეორე ეტაპზე ასპარეზობას იწყებს. ილიას ზუროსის გაწვრთნილი ნაკრები თელ ავივშია და მეორე ეტაპის სადებიუტო მატჩისთვის იქ აგრძელებს მზადებას ისრაელის ეროვნულ გუნდთან სათამაშოდ, ხოლო 16 სექტემბერს, თბილისში, საბერძნეთის ნაკრებს დაუხვდება.

საქართველოს ნაკრები 31 აგვისტოდან დინამოს საწვრთნელ ბაზაზე, გაფართოებული შემადგენლობით ემზადებოდა. ზუროსმა თავდაპირველად 19 კანდიდატი გამოიძახა, რომელთაგან ისრაელში 12 კალათბურთელი იახლა.

ისევე, როგორც პირველ საკვალიფიკაციო ეტაპზე, საქართველოს ნაკრები მეორეშიც 6 მატჩს გამართავს. ჩვენი მეტოქეები იქნებიან ისრაელის, ესტონეთისა და საბერძნეთის ნაკრებები, რომლებსაც ილიას ზუროსის გუნდი გასვლა-სახლის პრინციპით დაუპირისპირდება.

პირველი ეტაპის შემდეგ მოხდა ჯგუფების გაერთიანება. ანუ, ჩვენი ჯგუფიდან გასული 3 გუნდი სხვა ჯგუფის 3 საუკეთესოსთან გაერთიანდა. პირველი ეტაპზე დაგროვილი ქულები ყველა გუნდს მეორე ეტაპზე გადმოჰყვა. შესაბამისად, აქამდე ერთ ჯგუფში მყოფი გუნდები ერთმანეთს არ დაუპირისპირდებიან.

მეორე საკვალიფიკაციო ეტაპზე ჩვენი ჯგუფის ფავორიტები არიან გერმანია და საბერძნეთი, რომლებსაც პირველი ეტაპიდან 6 გამარჯვება გადმოჰყვათ. საქართველოს 2 მოგება აქვს, ხოლო ჩვენს უახლოეს მეტოქე ისრაელს – 3. ჯგუფიდან 3 საუკეთესო ნაკრები გადის.

**ზუროსის 12 რჩეულია:**

გიორგი ცინცაძე, მიხეილ ბერიშვილი (ორივე ალ შამალი, ყატარი), რატი ანდრონიკაშვილი, თორნიკე შენგელია, მეტ ჯენინგსი (ყველა ბასკონია, ესპანეთი), დუდა სანაძე (უგუნდო), მერაბ ბოქოლიშვილი, მიხეილ ჭოჭუა (ორივე დინამო), ლევან ფაცაცია (ქუთაისი), ილია კონდარიძე (ტიტები), გიორგი შერმადინი (უნიკახა, ესპანეთი), გოგა ბითაძე (მეგა ბიმაქსი, სერბეთი).

**სატურნირო ცხრილი:**

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| 1.გერმანია | 6 | 6 | 0 | 12 |
| 2.საბერძნეთი | 6 | 6 | 0 | 12 |
| 3.სერბეთი | 6 | 4 | 2 | 10 |
| 4.ისრაელი | 6 | 3 | 3 | 9 |
| 5.საქართველო | 6 | 2 | 4 | 8 |
| 6.ესტონეთი | 6 | 2 | 4 | 8 |

# ბასილაშვილი მსოფლიოს 31-ე ჩოგანია



პროფესიონალ ჩოგბურთელთა ასოციაციამ (ატპ) ახალი რეიტინგი გამოაქვეყნა და როგორც ველოდით, ზუსტად ისე მოხდა – ნიკოლოზ ბასილაშვილი ამერიკის ღია პირველობაზე მერვედფინალში გასვლის შედეგად 1.322 ქულით მსოფლიოს 31-ე ჩოგანია. ბასილაშვილმა საკუთარი საუკეთესო შედეგი 4 ადგილით გააუმჯობესა.

მომდევნო ტურნირი ბასილაშვილისთვის 17 სექტემბერს დაიწყება – ფრანგულ მეცში მოზელ ოფენზე გამოვა, რომლის საპრიზო ფონდი 561.345 დოლარია.

ამერიკის ღია პირველობის მერვედფინალში (ოღონდ, წყვილებში) ითამაშა ოქსანა კალაშნიკოვამაც. ოქსანას ეს წარმატებული თამაში 10 საფეხურით დაუფასდა და ახლა ის ვტა-ს წყვილთა რეიტინგში 57-ე ჩოგანია, თუმცა ეს არ არის კალაშნიკოვას საუკეთესო შედეგი – ოქსანა გასულ წელს 50-ეულშიც შედიოდა.

# აია და ლოკომოტივი ისევ ცხრილის თავში არიან

### აია-არმაზი 31:27



მარნეულის არმაზი პირველ ტურში სენსაციის ავტორი გახდა – გუნდმა დიდი 10-ის გასული სეზონის ბრინჯაოს პრიზიორი გორის ჯიქი დაამარცხა, ამჯერად კი ახლოს იყო იგივე ვერცხლის მედალოსან ქუთაისის აიასთან გაეკეთებინა.

არმაზი სტუმრად ამარცხებდა აიას, მაგრამ გაწითლებულ დროზე (მსაჯის კონპენსირებული) ლელო გაუშვა და 27:31 დამარცხდა.

მატჩში ლიდერი 6-ჯერ შეიცვალა და ანგარიში სამჯერ გათანაბრდა. გუნდებმა სწრაფი, ხელდახელ რაგბი ითამაშეს და ტრიბუნაზე შეკრებილი მაყურებელი ნერვიულობასთან ერთად გვარიანად ასიამოვნეს.

თამაში სტუმართა აქტიურობით და სწრაფი შეტევებით დაიწყო. მასპინძლებს უნებლიე შეცდომები მოსდიოდათ და კარგა ხანს თამაში ვერ დაალაგეს, თუმცა ანგარიშის გახსნის შანსი სწორედ მათ ჰქონდათ – თედო აბჟანდაძეს 100%-იანი ჯარიმა გაუცუდდა. მე-12 წუთზე რეზი ჯინჭველაშვილმა ცენტრალური ხაზის სიახლოვეს მეტოქეს ფეხით თამაშისას დაუფარა, ბურთი აიტაცა და ძელებშუა გატანილი ლელო თავადვე გარდასახა. 21-ე წუთზე მას გასატანი პოზიციიდან კიდევ 3 ქულა უნდა აეღო, მაგრამ აბჟანდაძის დარად 100%-იანი დარტყმა გაუცუდდა.

20 წუთის შემდეგ აიამ შეძლო ინიციატივის დაუფლება, ჩასათვლელ მოედანთან დაახლოებით 3 წუთი გაატარა და რევაზ წიკლაურმა ახლოდან მიძალების საპასუხო ლელო გაიტანა, ხოლო აბჟანდაძემ გარდასახვით წონასწორობა აღადგინა.

32-ე წუთზე ქუთაისელებმა არმაზის შეცდომით ისარგებლეს და წინ გავიდნენ: სანდრო სვანიძემ ფეხით გადაკიდებული ბურთი მიწაზე დავარდნის შემდეგ საკუთარ ლელოში აიღო და პირველი მბოჭავი აირიდა, მაგრამ მეორეს ვეღარ გაექცა, ოვალი ხელიდან გაუვარდა და ის ბექა ვარდანიძემ დაამიწა, ხოლო აბჟანდაძემ გარდასახა – 14:7.

მეორე ტაიმი არმაზის იერიშებით დაიწყო და მალე ლელოც გავიდა. სვანიძემ მარჯვენა ფრთაზე გაჭრა ხაზი და 5-მეტრიან წყვეტილამდე ირბინა, ბურთი მარცხნივ ჩათამაშდა, ოთარ მინაშვილმა შექცეული პასით კობა ჯიმშელეიშვილი შეიყვანა, რომელმაც ოვალი გოგა ხუროშვილს გაატანა, რომლის ლელო ჯინჭველაშვილმა გარდასახა. აიამ ლიდერობა აბჟანდაძის მიერ 50-ე წუთზე გატანილი ჯარიმით დაიბრუნა, თუმცა 1 წუთში სვანიძემ მბოჭავი ხელის კვრით ჩამოიცილა და ლელომდე ირბინა, ხოლო ჯინჭველაშვილმა სტუმრები 21:17 დააწინაურა.

64-ე წუთზე ხუროშვილი მაღალი ბოჭვისთვის დაჯარიმდა, თორნიკე მანაგაძემ მას ჩხუბი აუტეხა და რეფერიმ ორივე გაასინბინა, ჯარიმის შესრულების უფლება კი მარნეულელებს გადააბარა და ჯინჭველაშვილმა გუნდის უპირატესობა 7 ქულამდე გაზარდა.

აიამ უფრო შეუტია და მეტოქის „წითელ ზოლში" კვლავ დიდი დრო გაატარა. არმაზი რთულად ახერხებდა მათი მიძალების მოგერიებას. ერთ-ერთ რაქში ბურთი ვერ გააკონტროლა, ამით მიხეილ რატიაშვილმა ისარგებლა, რომლის ლელო აბჟანდაძემ გარდასახა და წონასწორობა მესამედ აღადგინა.

შეხვედრის დასრულებამდე ორიოდე წუთი რჩებოდა, როდესაც ჯინჭველაშვილმა 47 მეტრიდან გატანილი ჯარიმით არმაზი გამარჯვებას მიუახლოვა, მაგრამ ტრიბუნების მხარდაჭერით გათამამებულმა ქუთაისელებმა ფრეზე უარი თქვეს, ჯარიმა არ დაარტყეს, ლელოზე ითამაშეს და უკვე გაწითლებულ დროზე რატიაშვილმა თავისი მეორე ლელოთი მასპინძლები გაახარა, ხოლო აბჟანდაძემ გარდასახვით საბოლოო შედეგი დააფიქსირა – 31:27.

### ლოკომოტივი-არმია 21:8

აიას მსგავსად მეორე გამარჯვება მოიპოვა თბილისის ლოკომოტივმა. ჩემპიონმა დედაქალაქურ დერბიში არმიას 3 ლელო კი გაუტანა, მაგრამ თავად ერთი გაუშვა და ბონუსი ვერ აიღო. გუნდებმა ძალიან ბევრი შეცდომა დაუშვეს და ხშირი იყო შერკინებები, რაშიც ლოკომოტივი უპირატესობას ფლობდა და გამარჯვებასაც ამის ხარჯზე მიაღწია.

თამაში ლოკომოტივის იერიშებით დაიწყო და ტაიმი 14:3 მოიგო. რკინიგზელებს 2 ლელო ჰქონდათ გატანილი და საქმეს ისეთი პირი უჩანდა, რომ ბონუსს ამჯერადაც მისწვდებოდნენ. თუმცა, 56-ე წუთზე ვასიკო ყველაიძე სინბინით დაისაჯა და ლოკომოტივი 10 წუთით კაცნაკლული დარჩა. არმიამ ამით ისარგებლა, 59-ე წუთზე ლელო დადო და სხვაობა 6 ქულამდე შეამცირა.

ლოკომოტივმა მალევე მოახერხა საპასუხო ლელოს დადება – 21:8. ბოლო წუთზე ლოკომოტივს კიდევ ჰქონდა ბონუსის შანსი, მაგრამ ბოლო დერეფნის მოგება ვერ შეძლო და შანსიც გაანიავა, თუმცა ზედიზედ მეორე გამარჯვება იზეიმა.

### ლელო სარასენსი-ვეფხვები 28:25

მატჩის დასრულებამდე 2 წუთით ადრე, ლელო-სარასენსმა პატარძეულის ვეფხვებს ლელო გაუტანა და დიდი 10-ის დებიუტანტს ზეიმი არ დააცალა.

28:25 – ასე დასრულდა დიდ დილომში გამართული მატჩი და მასპინძლებმა ზედიზედ მეორედ იმარჯვეს 3 ქულის სხვაობით, ხოლო ვეფხვებმა კიდევ ერთხელ დაამტკიცა, რომ უძლიერესებში ხელწამოსაკრავი გუნდი არავისთვის იქნება და ბონუსის ხარჯზე დიდ 10-ში პირველი ქულა ჩაიწერა.

თამაში მაღალ ტემპში წარიმართა და კარგი საყურებელი გამოდგა. ამაში დიდი წვლილი სწორედ კახელებს მიუძღვით, რომლებმაც საკუთარი ძალები ირწმუნეს, ნაადრევად მიღებული 2 ლელოს მიუხედავად ფარხმალი არ დაყარეს და მცირედი მარცხისთვის ბონუსიც ალალად დაიმსახურეს.

მეტიც შეეძლოთ: კახელები 25:21 დაწინაურდნენ, საკუთარ ლელოს საგულდაგულოდ იცავდნენ, მაგრამ 78-ე წუთზე ლელო-სარასენსმა 5-მეტრიანი დერეფნის შემდეგ მოლი დააყენა, მოკლე ფრთაზე თორნიკე ახობაძემ შეუტია, მისი ლელო ირაკლი ყიასაშვილმა ურთულესი პოზიციიდან გარდასახა და მატჩი მასპინძლების გამარჯვებით დასრულდა – 28:25.

### ბათუმი-ხარები 5:15

რუსთავის ხარებმა ბათუმს მისსავე „რაგბი არენაზე" დაძაბულ ბრძოლაში 15:8 აჯობა და სეზონში პირველი გამარჯვება მოიპოვა.

მეორე ტურის პირველი შეხვედრა ორივე გუნდისთვის მძიმე აღმოჩნდა. რუსთაველებმა დებიუტშივე მოახერხეს დაწინაურება. შემდეგ ხარებმა მასპინძლებს აგრესიული დაცვა დაუპირისპირა და პირველ ტაიმში მეტოქეს მიახლოვების შანსი არ მისცა.

სამაგიეროდ, მეორე ტაიმის დასაწყისში ზღვისპირელები მაინც დაწინაურდნენ და თითქოს თამაშიც შემოატრიალეს, მაგრამ მალევე შეცდომა დაუშვეს, რასაც რუსთაველთა ლელო მოჰყვა, ბოლოს კი ხარებმა ერთხელაც დაალელოვა მასპინძლები და საბოლოო ანგარიშიც დაფიქსირდა – 8:15.

### ჯიქი-აკადემია 21:6

გორის ჯიქმა თბილისის აკადემიას პირველ ტაიმში 3 ლელო გაუტანა, საპასუხოდ 2 ჯარიმა მიიღო და 21:6 დაწინაურდა. შესვენების შემდეგ ქულის აღება ვერც ერთმა გუნდმა ვერ მოახერხა და ჯიქმა ახალ სეზონში პირველი გამარჯვება მოიპოვა.

ამ მოგებით ჯიქმა 5 ქულა მიიღო, ხოლო აკადემია 2 ტურის შემდეგ ჯერაც უქულოდაა.

# საქართველოს მეტოქეები ეხმარებიან, იტალიას – ჩაგრავენ

### ანდორა-ყაზახეთი 1:1

<u>ანდორა ლა ველა. ნასიონალი</u>

<u>0:1 ლოგვინენკო (68), 1:1 ალაეზი (85)</u>

**ანდორა:** გომესი, ლიმა, ველესი, რებესი, ც. რუბიო (გომესი 79), ლოვერა, ცერვოსი, ვიეირა, მარტინესი, სან ნიკოლასი (ჯ. რუბიო 83), კლემენტე (ალაეზი 70)

**ყაზახეთი:** ერიჩი, ლოგვინენკო, შომკო, ბაისებეკოვი (სეიდაჰმეტი 90), პოსტნიკოვი, მუჟიკოვი, კუატი, ისლამხანი, ტუნგიშბაევი (ზაინუტდინოვი 66), შეტკინი, მურთაზაევი (ტურისბეკი 59)

**გაძევება:** მუჟიკოვი (76)

ერთა ლიგაზე საქართველოს ნაკრების მეტოქეებმა ანდორაში ითამაშეს, სადაც სტუმრად ყაზახეთი ჩავიდა. გუნდებმა ქულები გაიყვეს და ამით ჩვენს ნაკრებს კიდევ უფრო გაუიოლეს ფლეი ოფში გასვლა.

ძალიან სუსტი ანდორა პირველ ტურში ფრე (0:0) ეთამაშა ლატვიას და ამჯერად იგივე ყაზახეთთანაც გაახერხა. პირველი ტაიმი უგოლოდ დასრულდა, მეორე ტაიმში კი სტუმართა გუნდის მცველმა ლოგვინენკომ თავურით გაიტანა გოლი.

76-ე წუთზე მსაჯმა მოედნიდან ყაზახი მუჟიკოვი გააძევა. თუმცა, არც ეს უქმნიდა საფრთხეს ყაზახებს, რადგან ანდორელები ხეირიანის შექმნას ვერ ახერხებდნენ, მაგრამ მათ შომკო წაეხმარა, რომელმაც ძალიან უხეში შეცდომა დაუშვა, ალაეზი მეკარესთან პირისპირ დატოვა და ანდორელმაც თავისი შანსი გამოიყენა – 1:1.

როგორც გითხარით, ეს ანგარიში საქართველოს ნაკრების სასარგებლოდ იყო, რადგან ვერც ერთმა მეტოქემ 2 ტურში გამარჯვების მოპოვება ვერ მოახერხა.

**სატურნირო ცხრილი:**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1.საქართველო | 2 | 2 | 0 | 0 | 3:0 | 6 |
| 2.ანდორა | 2 | 0 | 2 | 0 | 1:1 | 2 |
| 3.ლატვია | 2 | 0 | 1 | 1 | 0:1 | 1 |
| 4.ყაზახეთი | 2 | 0 | 1 | 1 | 1:3 | 1 |

**მომდევნო მატჩები:**

**13 ოქტომბერი:** საქართველო-ანდორა; ლატვია-ყაზახეთი;

სხვა ჯგუფებში მოვლენები ასე განვითარდა.

## ლიგა ა. 3 ჯგუფი

### პორტუგალია-იტალია 1:0

<u>ლისაბონი. და ლუში</u>

<u>1:0 ანდრე სილვა (48)</u>

**პორტუგალია:** პატრისიუ, კანსელა, პეპე, დიასი, რუი, პიცი (სანჩეში 74), ნევეში, კარვალიო (ოლივეირა 86), ბრუმა (მარტინში 77), ა.სილვა, ბ.სილვა

**იტალია:** დონარუმა, ლაცარი, კალდარა, რომანიოლი, კრიშიტო (ემერსონი 74), კრისტანტე (ბელოტი 79), ჟორჟინიო, ბონავენტურა, ძაძა, იმობილე (ბერარდი 59), კიეზა

ა ლიგის მე-3 ჯგუფში ერთპიროვნული ლიდერი გაჩნდა. პორტუგალიელებმა თავისი პირველ მატჩში შინ 1:0 მოუგეს იტალიელებს და ტრიოს (მესამე გუნდი პოლონეთია) სათავეში ჩაუდგნენ. ევროპის ჩემპიონებისგან გამარჯვების გოლი ანდრეს სილვამ გაიტანა.

მასპინძლები 90 წუთის მანძილზე მეტოქეზე უკეთ გამოიყურებოდნენ

გაგრძელება მე-10 გვერდზე



# ბორის ჯონსონმა ორ თვეში სამსახურიც დაკარგა და ცოლიც



დიდი ბრიტანეთის ყოფილი საგარეო საქმეთა მინისტრი ბორის ჯონსონი 25- წლიანი თანაცხოვრების შემდეგ მეუღლეს შორდება. წყვილი ერთმანეთს ჯერ კიდევ რამდენიმე თვის წინ დაშორდა, რისი მიზეზიც ჯონსონის მხრიდან მრავალრიცხოვანი ღალატი გახდა.

ჯონსონმა და მისმა მეუღლემ მარინამ ერთობლივი განცხადება გამოაქვეყნეს, რომელშიც განმარტეს, რომ „საერთო ინტერესებიდან“ გამომდინარე, რამდენიმე თვის წინ ერთმანეთთან დაშორების გადაწყვეტილება მიიღეს. აღსანიშნავია, რომ წყვილს ოთხი ბავშვი ჰყავთ.

ჯონსონმა არაერთხელ უღალატა თავის მეუღლეს. ერთ-ერთი წვეულების დროს ყოფილი მინისტრის 25 წლის ქალიშვილმა მამას „ეგოისტი ნაძირალა“ უწოდა და იქვე დაამატა, რომ დედამ მასთან ურთიერთობა გაწყვიტა.

აღსანიშნავია, რომ წყვილი უკვე ორჯერ დაშორდა ერთმანეთს ჯონსონის მხრიდან ღალატის გამო. 2004 წელს მას რომანი ჰქონდა მწერალ ქალ პეტრონელა უაიატთან, ხოლო 2009 წელს უკანონო შვილი შეეძინა არტ-კონსულტანტ ჰელენ მაკინტაიერისგან.

შეგახსენებთ, რომ ჯონსონი საგარეო საქმეთა მინისტრის თანამდებობიდან 2018 წლის 9 ივლისს გადადგა, რისი მიზეზიც ბრიტანეთის ევროკავშირიდან გამოსვლის თაობაზე შეუთანხმებლობა გახდა.

# ტურისტებს პოლიციელთან უხამსობის გამო სოლიდური თანხა ჩამოართვეს და აღარ უბრუნებდნენ




ამერიკის დასავლეთ ვირჯინიის შტატის ქალაქ ჩარლზ-თაუნში პოლიციელებმა ტურისტებს 10 ათასი დოლარი ჩამოართვეს და სამი თვის განმავლობაში ფულის დაბრუნებაზე უარს ეუბნებოდნენ.

ივნისის დასაწყისში დიმიტრიოს პარლიასი და ტონია სმიტი ჩარლზ-თაუნში სათამაშო სახლს სტუმრობდნენ. რამდენიმე დღის განმავლობაში ნიუ-ჯერსის შტატის მკვიდრმა წყვილმა კაზინოში 10 ათას დოლარზე მეტი თანხა მოიგო და ამაზე გაჩერებას არ აპირებდა.

ქალაქის გარეუბანში მათი ავტომობილი პოლიციელმა გააჩერა. მან მანქანის მართვის მოწმობა შეუმოწმა მამაკაცს, შემდეგ მანქანიდან გადმოსვლა უბრძანა და შეეკითხა: „თან რა რაოდენობით თანხა გაქვთ?“ მამაკაცმა კითხვაზე პასუხის გაცემაზე უარი უთხრა, ვინაიდან, მისი თქმით, ასეთ კითხვას ქურდები სვამენ და არა პოლიციელები.

ამის შემდეგ პოლიციელმა მას ხელბორკილები დაადო, მანქანიდან გადმოაგდო მისი ფეხმძიმე მეუღლე და დახმარება გამოიძახა ნარკოტიკების მეძებარ ძაღლთან ერთად. მიუხედავად იმისა, რომ ჩხრეკის ორდერი არ ჰქონდა, ის ორი საათის განმავლობაში ათვალიერებდა მანქანას სხვა პოლიციელებთან ერთად.

მას შემდეგ, რაც ნარკოტიკები და კონტრაბანდა ვერ აღმოაჩინეს, მათ წყვილს 10.478 დოლარი და კაზინოს უამრავი სასაჩუქრე ბარათი ჩამოართვეს, ვინაიდან ისინი მათ საეჭვოდ მიიჩნიეს.

ამის შემდეგ მათ ისინი გაუშვეს. ცოლ-ქმარს სახლში დასაბრუნებლად მხოლოდ ორი დოლარი ჰქონდა დარჩენილი.

მთელი ზაფხული ისინი სამართლის მიღწევას ცდილობდნენ და შიშობდნენ, რომ საკუთარ მოგებულ თანხას ველარასოდეს დაიბრუნებდნენ. აღსანიშნავია, რომ დასავლეთ ვირჯინიის შტატში სამართალდამცავ ორგანოებს ნებისმიერი ქონების კონფისკაციის უფლება ეძლევათ, თუ მათ საფუძვლიანი ეჭვი აქვთ, რომ ის გამოყენებული იქნა, ან შესაძლოა გამოყენებული ყოფილიყო შტატის კანონმდებლობის დასარღვევად.

წყვილმა პოლიციისგან პასუხის მიღებას მანამდე ვერ მიაღწია, სანამ მათი ისტორიით ჩარლზ-თაუნის ქალაქის საბჭოს წევრი არ დაინტერესდა. ამის შემდეგ მასზე ადგილობრივ გაზეთშიც დაწერეს. მხოლოდ ამის შემდეგ დაურეკეს ოჯახურ წყვილს პოლიციიდან და აცნობეს, რომ მათ ქმედებაში დანაშაულის ნიშნები ვერ აღმოაჩინეს და მათ საკუთარი ფულის მიღება შეეძლოთ. ასე რომ, სამთვიანი ლოდინის შემდეგ წყვილმა საკუთარი ფული დაიბრუნა.

*მოამზადა კახა ხატიაშვილმა*

# საქართველოს მეტოქეები ეხმარებიან, იტალიას — ჩაგრავენ

დასაწყისი მე-9 გვერდზე

და მათ შემტევებს შეტევაში უკეთესად რომ ეთამაშათ, სხვაობა გაცილებით დიდი იქნებოდა. აღსანიშნავია, რომ თავიანთი ლიდერის, კრიშტიანუ რონალდუს გარეშე ფერნანდუ სანტუშის გუნდი ჩინებულად გამოიყურებოდა. მათი შეტევაც უფრო მრავალფეროვანი ჩანდა, ვიდრე ერთ ფეხბურთელზე აწყობილი, მაგრამ სხვა მინუსი აქვთ – რონალდუს გარეშე არ ჩანს ფეხბურთელი, რომელიც რთულ სიტუაციაში თავის თავზე აიღებს თამაშს.

ზუსტად ასეთ დღეშია იტალიის ნაკრები – აძურიში მსგავსი ფეხბურთელი ვერ იძებნება, არ ჩანს ერთპიროვნული ლიდერი, რომლითაც აპენინელები გამორჩეულნი იყვნენ. შედეგიც სახეზეა – 2 ტურში ფრე და მარცხი...

## ლიგა ბ. 2 ჯგუფი

### შვედეთი-თურქეთი 2:3

სოლნა. სოლნა არენა
1:0 ტელინი (35), 2:0 კლაესონი (49), 2:1 ჩალჰანოღლუ (51), 2:2, 2:3 აკბაბა (88, 90)

საოცარი მატჩი შედგა შვედეთში. არადა, სკანდინავიელებისთვის მატჩი იდეალურად დაიწყო და მეორე ტაიმის დასაწყისში 2 ბურთით იგებდნენ. მართალია, ჩალჰანოღლუმ სხვაობა მალევე შეამცირა, მაგრამ მატჩის მიმდინარეობა მასპინძლებს არანაირ საფრთხეს არ უქმნიდა. აი, რატომ დაუთმეს ბოლო წუთებში ინიციატივა მეტოქეს, ცოტა გასაკვირიც არის – შვედები მთელი გუნდით დაცვაში ჩადგნენ და შეცვლაზე შესულმა აკბაბამ ბოლო 5 წუთში 2-ჯერ დასაჯა.

## ლიგა ც. 1 ჯგუფი

### შოტლანდია-ალბანეთი 2:0

გლაზგო. ჰემპდენ პარკი
1:0 ჰიმჩიტი (47ას), 2:0 ნეისმიტი (68)

შოტლანდიის ნაკრები დასაწყისიდანვე ფლობდა უპირატესობას, მაგრამ ტაიმი ისე მიილია, გოლის გატანა ვერ მოახერხა. სამაგიეროდ, ალბანელებმა გამოიჩინეს მათ მიმართ „ყურადღება“ და მე-2 ტაიმის დასაწყისშივე ჰიმჩიტმა ბურთი საკუთარ კარში ჩაჭრა. შემდეგ შოტლანდიელთათვის მატჩის მოგება უკვე გაიოლდა, ხოლო როდესაც ნეისმიტმა მეორეც გაიტანა, ყველაფერი ნათელი გახდა.

## ლიგა ც. 4 ჯგუფი

### ჩერნოგორია-ლიეტუვა 2:0

პოდგორიცა. პოდ გორიცომი
1:0 სავიჩი (35პ), 2:0 იანკოვიჩი (36)

ნახევარ საათზე მეტი ვერ გაჰქონდათ ჩერნოგორიელებს ბურთი მეტოქისთვის, თუმცა, მოკლე მონაკვეთში, 35-ე და 36-ე წუთზე ზედიზედ 2 გაიტანეს და საქმე მშვიდად მიიყვანეს გამარჯვებამდე.

### სერბეთი-რუმინეთი 2:2

ბელგრადი. პარტიზანი
1:0 მიტროვიჩი (26), 1:1 სტანჩუ (48პ), 2:1 მიტროვიჩი (68), 2:2 ტუკუდეანი (68)

ყველაფერი გააკეთა მიტროვიჩმა თავისი გუნდის მოსაგებად – ორჯერ დააწინაურა სერბები, მაგრამ უკანა ხაზმა მის გარჯას მხარი ვერ აუბა და რუმინელებს საშუალება მისცა შინ ქულით დაბრუნებულიყვნენ.

## ლიგა დ. 3 ჯგუფი

### კოსოვო-ფარერები 2:0

პრიშტინა. ფადილ ვოკრი
1:0 ზენელი (70), 2:0 ნუჰუ (54)

კოსოვოს ნაკრები ამ ჯგუფის ფავორიტად გვევლინება. ჯერ იყო და აზერბაიჯანიდან ქულა წაიღეს, ამჯერად შინ ფარერები დაამარცხეს და 4 ქულით ჯგუფს ლიდერობენ. თუმცა, იოლი მატჩები დარჩათ-თქო, ვერ ვიტყვით, მოკლედ რომ ვთქვათ, ერთ-ერთი ყველაზე თანაბარი ჯგუფის დ ლიგაში.

### მალტა-აზერბაიჯანი 1:1

ტა ქალი. ტა ქალი სთედიუმი
1:0 აგიუსი (10პ), 1:1 ხალიზადე (26)

პირველ ტურში ორივე გუნდმა წარუმატებლად ითამაშა, ამიტომ ქულების აღებას ერთმანეთში შეეცადნენ, მაგრამ ისე მოხდა, რომ მხოლოდ გაიყვეს. საბოლოო ჯამში ამ შედეგმა უფრო კოსოვოსა და ფარერების ნაკრებები გაახარა.

*მოამზადა მიხეილ ყორყოლიანმა*

**სახალხო მკურნალი ლამარა თოდუა** მოგირჩენთ სახის კანის გამონაყარს უმტკივნეულოდ და ყოველგვარი გაღიზიანების გარეშე. მოგაშორებთ ლაქებსა და ნაოჭებს.

**ვმკურნალობ: 1. სებორეას; 2. გამაგრებას; 3. დამწვრობას; 4. ჰაიმორიტს; 5. ფრონტიტს; 6. თმის ცვენას, თუნდაც ბუდობრივს; 7. ქერტლს; 8. ტილებს მოგაშორებთ ერთი პროცედურით; 9. დისბაქტერიოზს, შეკრულობას, აშლილობას. 10. კუჭის წყლულს; 11. გულძმარვას („იჟოგას“); 12. მასტოპათიას, მკერდის გამაგრებას; 13. გამაგრებულ ნანემსარს; 14. ნაწოლებს დაჩირქებულს, თუნდაც დიაბეტიანებს; 15. მოვხსნი მეჭეჭებს; 16. განვკურნავ ჭიებისგან; 17. დავშლი კენჭებს, მოგაშორებთ მარილებს; 18. სოკოვან დაავადებებს; 19. გასქელებულ ფრჩხილებს და დახეთქილ ქუსლებს.**

მაქვს ძალიან ეფექტური, ბუნებრივი წამლები.

მსურს დაგეხმაროთ ჯანმრთელობის აღდგენაში.

**მისამართი: ოთარ ჭილაძის ქ. №166. მე-10 კორპუსი.**
**ტელ.: 230 62 52; 599 16 10 82**

# ასტროპროგნოზი

## 12 სექტემბრისათვის



**ვერძი** — პასიური დღეა. თუ სისუსტეს გამოიჩენთ, ეს თქვენს წარმატებაზე უთუოდ აისახება. ზედმეტი მზრუნველობა ახლობლებისადმი საჭირო არ არის. **კურო** — სასიცოცხლო პოტენციალი იზრდება. ეს დღე თქვენი შემოქმედებითი აღმავლობის დასაწყისია. **ტყუპები** — ხელშეკრულებების გასაფორმებლად, მივლინებებისათვის შესაფერისი პერიოდია. მიმართეთ ძველ მეთოდებს. **კირჩხიბი** — კარგი პერიოდია ხანმოკლე მივლინებებისა და საქმიანი შეხვედრებისათვის. მთავარია, მომენტი სწორად შეარჩიოთ. ნუ ეტყვით უარს მეგობრებს დახმარებაზე. **ლომი** — საკუთარი პრინციპები მტკიცედ დაიცავით. თქვენი ავტორიტეტის შებღალვის უფლება არავის მისცეთ. ჯანმრთელობას მეტი ყურადღება მიაქციეთ. **ქალწული** — ძალზე კეთილისმყოფელი დღეა. გიუმჯობესდებათ მატერიალური მდგომარეობა. პროფესიონალური და პირადი საკითხების გადასაწყვეტად მშვენიერი პერიოდია. **სასწორი** — ფინანსური მდგომარეობა კვლავ გიუმჯობესდებათ. ამის მიუხედავად, ნუ გარისკავთ. თუ თქვენი სამუშაო არ მოგწონთ, მის შეცვლას ნუ იჩქარებთ. **ღრიანკალი** — გეგმების რეალიზებას იოლად ახერხებთ. თუ დაგჭირდათ, მეგობრები დაიხმარეთ. ისინი ამას სიამოვნებით გააკეთებენ. **მშვილდოსანი** — ახალი საქმეები შეგიძლიათ თამამად დაიწყოთ, მაგრამ რისკი გაუმართლებელია. თავქარიანობა არ გამოგადგებათ. **თხის რქა** — იყავით ჰუმანური, დამთმობი, მიმტევებელი. ჯანმრთელობას გაუფრთხილდით. ჩაიტარეთ წყლის პროცედურები. **მერწყული** — მიღებული ინფორმაცია აუცილებლად საგულდაგულოდ გადაამოწმეთ. საღამო ბუნებაში გაატარეთ. **თევზები** — ცდუნებას ნუ აჰყვებით. კომერციული საქმიანობა რეკომენდებული არ არის, დიდია მოტყუების ალბათობა. სიჯიუტე და უხეშობა კონფლიქტამდე მიგიყვანთ.

გისურვებთ ბედნიერ დღეს!

# კროსვორდი ბ



**შვეულად**: 1. ზღვის წვრილი თევზი, ფართო რეწვის ობიექტი; 2. ქიმიური ელემენტი, რომელსაც უმთავრესად მოიპოვებენ ზღვის წყალმცენარეებისგან; 3. მეფის დროშის სახელწოდება ძველად საქართველოში; 4. გერმანული პარფიუმერიული კომპანია; 5. ლოგარითმის წილადური ნაწილი; 8. სტადიონი მეხიკოში; 9. სახელმწიფო ახლო აღმოსავლეთ აზიაში; 12. პერიოდული ბეჭდვითი გამოცემა; 14. ბეტონიტური თიხის საბადო გურიაში; 16. ესპანეთის კუნძული ხმელთაშუა ზღვაში, პოპულარული საკურორტო ზონა.

**თარაზულად**: 1. პოპულარული კაფე ძველ თბილისში, ხელოვანთა თავშეყრის ადგილი; 6. შურისძიების ღვთაება ბერძნულ მითოლოგიაში; 7. პირველი ამერიკელი ასტრონავტი; 9. აეროპორტი ტოკიოში; 10. ხოხბის, კაკბის, გნოლის ბარტყი; 11. ბატონი, მსხვილი მემამულე შუა საუკუნეებში; 13. ტიბეტის ადმინისტრაციული ცენტრი; 15. ეგვიპტის ნაკრებისა და „ლივერპულის“ ფეხბურთელი; 17. ფრანგი მწერალი; 18. ფულის ერთეული ისრაელში; 19. ყელის დაავადება ხმის ჩახლეჩა-დაკარგვა; 20. მხარე გერმანიაში.

*შეადგინა თ.გოგინაშვილმა*

## წინა ნომერში გამოქვეყნებული კროსვორდების პასუხები:

### კროსვორდი ა

**შვეულად:** 1. ბუსოლი; 2. ურუშაძე; 3. კემბრიჯი; 4. ბიჭვინთა; 8. ამაშუკელი; 9. დუვლიკატი; 11. გუდვილი; 12. მესა; 14. იდეა; 16. სუვენირი; 17. მალაქიტი; 19. ქოქოსი; 21. კობრა.

**თარაზულად:** 5. რეფლექსი; 6. სუბსიდია; 7. კალანდაძე; 10. ნიამეი; 13. შაბათი; 15. ისტვუდი; 18. გუთანი; 20. რატილი; 22. ფოქსტროტი; 23. პროგრესი; 24. ტრავოლტა.

### კროსვორდი ბ

**შვეულად:** 1. ნაბადი; 2. ლომუ; 3. ჰერალდიკა; 4. ასაჰი; 5. ბოზბაში; 8. ძლვენი; 9. დისკოთეკა; 12. იამოტო; 14. ბილონი; 16. ალაბა.

**თარაზულად:** 1. ნაბელლავი; 6. ნეგრესკო; 7. ბარძიმი; 9. დინასი; 10. აიდა; 11. ჰერმესი; 13. დუბაი; 15. შაკირა; 17. ღანძილი; 18. ტოშიბა; 19. კიანტი; 20. ფარაონი.

# ამერიკელმა საკუთარ თავს ცეცხლი წაუკიდა, მაგრამ შემდეგ თვითმკვლელობა გადაიფიქრა



აშშ-ის მკვიდრმა ნეითან სმიტმა საკუთარ თავს და სახლს ცეცხლი წაუკიდა, მაგრამ შემდეგ სიცხე ვერ აიტანა და თავის დაწვა გადაიფიქრა.

ინციდენტი სამხრეთ კაროლინას შტატის ქალაქ ინმანში მოხდა. მას შემდეგ, რაც 24 წლის სმიტმა სახლს ცეცხლი წაუკიდა, მისმა მეზობელმა მაშინვე პოლიცია და მაშველები გამოიძახა და მათ ამაში დამნაშავის ვინაობაც დაუსახელა. როდესაც ისინი შემთხვევის ადგილზე მივიდნენ, სახლის უკანა მხრიდან გამოვიდა ერთიანად სველი სმიტი, რომელსაც ცხვირიდან სისხლი მოსდიოდა. მან პოლიციელებს განუცხადა, რომ ხანძარი იმის გამო მოაწყო, რომ თავისი შვილების დედაზე იყო გაბრაზებული და მასთან ურთიერთობამ დაღალა.

სმიტმა ასევე განაცხადა, რომ ბენზინი მთელ სახლში მოასხა, შემდეგ საწოლში ჩაწვა და ცეცხლი მოუკიდა, ვინაიდან სახლის და საკუთარი თავის განადგურებას აპირებდა. ხანძრის გაჩენიდან მცირე ხანში, მას აუტანლად დასცხა და ამიტომ გარეთ გამოსვლა გადაწყვიტა, ცეცხლის ჩაქრობა კი ვერ შეძლო. როდესაც ქუჩაში აღმოჩნდა, გაახსენდა, რომ სახლში ძაღლი დარჩა, უკან შებრუნდა და ცხოველი გამოიყვანა.

მამაკაცი საავადმყოფოში გადაიყვანეს და მრავალრიცხოვანი დამწვრობების გამო ტრავმატოლოგიურ განყოფილებაში მოათავსეს. ხოლო მას შემდეგ, რაც ტრანკვილიზატორს გაუკეთებენ, თვითმფრინავით ჯორჯიის შტატის დამწვრობის ცენტრში გადაიყვანენ.

პოლიციამ კი სმიტს მესამე ხარისხის ხანძრის გაჩენის ბრალდება წაუყენა და მას 15 წლით პატიმრობა ემუქრება.

# პიანისტმა ნიკოლოზ ნამორაძემ პიანისტთა საერთაშორისო კონკურსზე 100.000 დოლარი მოიგო



26 წლის ქართველმა პიანისტმა ნიკოლოზ ნამორაძემ ჰონენსის საერთაშორისო საფორტეპიანო კონკურსში გაიმარჯვა და სოლიდური საპრიზო თანხა – 100.000 დოლარი მოიგო.

ფინალში ქართველ პიანისტთან ერთად მოხვდნენ ტაივანელი ჰან ჩენი და ამერიკელი ლეველინ სანჩეს-ვერნერი. მეორე ადგილზე გასულ ჰან ჩენს 10 ათასი დოლარი გადაეცა, მესამეადგილოსან ლევენილ სანჩეს ვერნერს კი – 5 ათასი დოლარი.

ნიკოლოზ ნამორაძის ოჯახი საქართველოდან წლების წინ წავიდა. მაშინ პიანისტი რამდენიმე თვის იყო. ნიკოლოზი საფორტეპიანო ხელოვნებას ბუდაპეშტში, ვენასა და ფლორენციაში ეუფლებოდა, შემდეგ კი სწავლა ნიუ იორკში ჯულიარდის სკოლაში განაგრძო.

# სოფო ტოროშელიძე მოსწავლე ახალგაზრდობის ეროვნულ სასახლეში გადავიდა



მომღერალი სოფო ტოროშელიძე სამუშაოდ მოსწავლე ახალგაზრდობის ეროვნულ სასახლეში გადავიდა.

მას შემდეგ, რაც სოფომ ტელეკომპანია რუსთავი 2 დატოვა და „იმედში" გადავიდა, „იქს ფაქტორის" მუსიკალური ხელმძღვანელი იყო.

ამჟამად სოფომ მოსწავლე ახალგაზრდობის ეროვნულ სასახლეში მუსიკალურ-ქორეოგრაფიული სკოლის ხელმძღვანელად დაიწყო მუშაობა.

როგორც სასახლის ხელმძღვანელმა თიკა რუხაძემ განაცხადა, მას დიდი იმედი აქვს, რომ სოფოს ყველაფერი გამოუვა და მისი საქმიანობა წარმატებული იქნება.

# ქალმა მაიონეზზე უარის თქმის შემდეგ წონაში საგრძნობლად დაიკლო



ბრიტანელმა ქალბატონმა რეიჩელ სიდოლმა წონაში თითქმის მესამედით დაიკლო, რათა ძველი საქორწინო კაბის ჩაცმა მოეხერხებინა.

ლაკაშირის საგრაფოს ქალაქ ბლექბერნის მცხოვრებმა განაცხადა, რომ ძალიან ბედნიერი იყო, როდესაც მისმა 48 წლის შეყვარებულმა ხელი სთხოვა. 40 წლის სიდოლი დაახლოებით 136 კილოგრამს იწონიდა და არ სურდა, რომ ასეთი სახით წარმდგარიყო საკუთარ ქორწილში. იმისთვის, რომ საკუთარი თავი აეძულებინა წონაში დაეკლო, 44 ზომის ძველი საქორწინო კაბა შეიძინა.

სიდოლი აუზზე ჩაეწერა, კვირაში ოთხ-ხუთჯერ ვარჯიშობდა. მან მკვეთრად შეცვალა კვების რაციონი.

– ნებისმიერ კერძში მაიონეზის დამატება მიყვარდა. ახლა ამას აღარ ვაკეთებ, ასევე საერთოდ უარი ვთქვი ცხიმში კერძების მომზადებაზე, – განაცხადა სიდოლმა და იქვე დაამატა, რომ ახლა ხილს ანიჭებს უპირატესობას.

წელიწადნახევარში მან წონაში 44 კილოგრამის დაკლება მოახერხა. ბრიტანელის თქმით, მას ჯანმრთელობაც მნიშვნელოვნად გაუუმჯობესდა. ადრე ის მუდმივად დაღლილობას გრძნობდა და სუნთქვაც გაძნელებული ჰქონდა.

ქორწილამდე სამი კვირით ადრე, მან საქორწინო კაბის მორგება მოახერხა. მისი თქმით, საქორწინო ცერემონიამ იდეალურად ჩაიარა და თავს უზომოდ ბედნიერად გრძნობდა.

# დემნა გვასალია: „დაცინვა მოდაში პროფესიაა"

დასაწყისი მე-12 გვერდზე

*ერთ-ერთ ყველაზე სახელგანთქმულ ადგილას ვსხედვართ.*

– როგორ ფიქრობდი, სად შევხვდებოდით? ქუჩაში? ციურიხში ეს ჩემი ერთ-ერთი საყვარელი ადგილია. აქ ბევრი ისეთი ადამიანი დადიოდა, რომლებსაც ვაღმერთებ, მაგალითად, შანელი.

***– აქ მომავალ გზაზე ახალგაზრდები შემხვდნენ, შენი მაისური ეცვათ, რომელიც 700 ევრო ღირს. ეს არ გაწუხებს?***

– ახალგაზრდებისთვის მოდა კომუნიკაციაა. შეიძლება, მათ რაღაცის ნაწილად ყოფნა სურთ. დღეს ყველას შეუძლია, იყოს მოდის სამყაროში სოციალური ქსელებით. მოდაში ექსკლუზიურობა აღარ არსებობს, რაც, ჩემი აზრით, კარგია. ინტერნეტით ბევრი რამ ხდება, ყველას შეუძლია, ამ სამყაროს ნაწილი გახდეს.

***– ბოლო კოლექციაზე რას იტყვი?***

– მამაჩემს 3 ძმა ჰყავს. 2 სოხუმში ჩვენს მეზობლად ცხოვრობდა. სანამ ომი დაგვაშორებდა, ჩვენი ოჯახი ერთად ცხოვრობდა, ტომივით, რომლის მეთაური ბებია იყო. მე, გურამი და ბიძაშვილები ეზოში ვთამაშობდით, სკოლაში დავდიოდით. მაგ დროისთვის უკვე ვხატავდი, ვჭრიდი, ნაჭრებს ვაკერებდი და სასადილო მაგიდასთან ჩვენებებს ვაწყობდი. გურამი ბილეთებს ყიდდა და წამყვანი იყო, აცხადებდა: ახლა წარმოგიდგენთ ზამთრის კოლექციას. ერთ მშვენიერ ზაფხულს ეზოში ვისხედით ხის ქვეშ, ველოდებოდით მამას, უნდა მოსულიყო და სანაპიროზე წავეყვანეთ, როცა ხმაური ატყდა. ომი დაიწყო. მამაჩემი და ბიძაჩემი ქართულ ძალებში იბრძოდნენ სეპარატისტების წინააღმდეგ. მაშინ არ ვიცოდით, რომ ამ სეპარატისტებს რუსეთის მხარდაჭერა ჰქონდათ. ჩვენს სახლში იარაღის საწყობი იყო, ამიტომ დაგვბომბეს ასე საშინლად. ყველაფერი სწრაფად მოხდა. პატენტი ნაიკის ჩანთები მახსოვს, თურქეთიდან ჩამოტანილი. იქ ვყრიდით სწრაფად ტანსაცმელს, ფოტოალბომებს. მოგვიანებით მამამ მითხრა, თუ გასვლას ვერ მოვასწრებდით, აპირებდა, რომ ყველა აფეთქებულიყავით, რადგან ტყვედ ჩავვარდებოდით და გვაწამებდნენ. ჩემს ბოლო ჩვენებას ჩემი ოჯახი სრულად ესწრებოდა. მამაც იქ იყო, ყველა ტიროდა.

**მოამზადა ეკა ირემაშვილმა**

# საუდის არაბეთის პრინცესა პარიზის სასტუმროში გაქურდეს



საუდის არაბეთის სამეფო ოჯახის წევრი პარიზის სასტუმრო Ritz-ში გაქურდეს. ამ ინფორმაციას ერთ-ერთი ფრანგული გამოცემა ავრცელებს.

დაზარალებულის ვინაობა არ სახელდება, თუმცა ზოგიერთი მონაცემით, ქურდობის მსხვერპლი საუდის არაბეთის პრინცესა გახდა. დანაშაული დღის მეორე ნახევარში მოხდა. გავრცელებული ინფორმაციის თანახმად, ქურდებმა სასტუმროს ნომრიდან 800 ათასი ევროს ძვირფასეულობა გაიტანეს. ძვირფასეულობა სეიფში არ იყო ჩაკეტილი. ამასთან სამართალდამცავებს ნომრის გატეხვის კვალი არ აღმოუჩენიათ.

აღსანიშნავია, რომ წელს ეს უკვე მეორე ქურდობაა სასტუმრო Ritz-ში. იანვარში შეიარაღებულმა მძარცველებმა სასტუმროს საიუველირო მაღაზიიდან 4,75 მილიონი ევროს ძვირფასეულობა გაიტანეს. თუმცა საბოლოოდ ისინი უკლებლივ დააბრუნეს.

**მოამზადა კახა ხატიაშვილმა**

# თავგზააბნეული შვილი მომაკვდავ დედასთან მისი თხოვნის შემდეგ დაბრუნდა



ჩინეთში მამაკაცი, რომელმაც თავის ოჯახთან ურთიერთობა გაწყვიტა, მომაკვდავ დედას დაუკავშირდა და მისი უკანასკნელი სურვილი აასრულა.

რამდენიმე კვირის წინ ლიუ სინიმ გამოაქვეყნა წერილი, რომელშიც თავის 32 წლის გადაკარგულ შვილ იან ჟენჟუნს დაბრუნება სთხოვა. გავრცელებული ინფორმაციის თანახმად, ქალს საშვილოსნოს ტერმინალური სტადიის კიბო აქვს, მაგრამ უარს აცხადებს ქიმიოთერაპიის გაგრძელებაზე, ვინაიდან საკუთარი სიცოცხლისთვის ბრძოლის აზრს, როდესაც მისი შვილი მის გვერდით არ იმყოფება, ვერ ხედავს.

შვილმა დედის გზავნილი ნახა და ცხრაწლიანი დუმილის შემდეგ ტელეფონით დაუკავშირდა. იანი მშობელს შეჰპირდა, რომ მასთან ჩავიდოდა და ამჟამად გზაში იმყოფება. ლიუ შანხაის საავადმყოფოში წევს და შვილის სატელეფონო ზარის შემდეგ მკურნალობის კურსი გააგრძელა.

# ქალმა ყოფილ შეყვარებულზე შური მისი თევზების დახოცვით იძია

ბრიტანელმა სერენა რეინოლდსონმა ყოფილ მეგობარ მამაკაცზე შური იმით იძია, რომ მისი აკვარიუმის თევზები სასტიკი მეთოდით დახოცა.

35 წლის ქალმა ჯონი ფიტცპატრიკისთვის მიძღვნილი ვიდეო ჩაწერა, რომელშიც ასახულია, თუ როგორ ნელ-ნელა და მტანჯველი სიკვდილით ხოცავს მისი აკვარიუმის თევზებს. ამისთვის ის აკვარიუმში მათეთრებელს ასხავს. კადრებში, რომელიც ერთ-ერთმა ბრიტანულმა გამოცემამ გამოაქვეყნა, ჩანს თუ როგორ ეხლებიან აკვარიუმის კედლებს თევზები წყალში ქიმიური ნივთიერების მოხვედრის შემდეგ, შემდეგ კი იღუპებიან. ამ დროს კი სერენა იძახის „მოკვდი, მოკვდი, მოკვდი, მოკვდი!" და ჯონს ემუქრება, რომ მის შინაურ გველსაც მისწვდება.

ვიდეოჩანაწერის მიღების შემდეგ ქალი ყოფილმა მეგობარმა მამაკაცმა მის წინააღმდეგ სასამართლოში სარჩელი შეიტანა. ამასთან მან ვიდეო ცხოველთა დამცველებსაც აჩვენა, რომლებიც ამის შემდეგ სასამართლოზე ბრალდების მხარეზე გამოვიდნენ. სასამართლომ სერენას 18-კვირიანი პატიმრობა მიუსაჯა და ასევე ჯარიმის სახით 415 ფუნტი სტერლინგის გადახდა დააკისრა. ასევე მას სიცოცხლის ბოლომდე აუკრძალეს აკვარიუმის თევზების ყოლა. სასამართლოზე რეინოლდსონი ამტკიცებდა, რომ უდიდესი სტრესის ქვეშ იმყოფებოდა, ხოლო თევზები ძალიან უყვარდა მის ოთხ შვილს.


ცეკვის აკადემია
თელა

გიწვევთ
სამეჯლისო-სპორტული
ცეკვების შესასწავლად




მსურველები მიიღებიან
ასაკობრივ ჯგუფებში;
ჩაწერა იწარმოებს 20 აგვისტოდან!
მისამართი: აკ.წერეთლის 126
Email: Academytela@yahoo.com
ტელ: 599-77-80-08


# სამგლოვიარო განცხადებები

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ეკონომიკური პოლიტიკის კათედრა და ეკონომიკური პოლიტიკისა და ეკონომიკური განათლების ქართულ-გერმანული ინსტიტუტი ღრმა მწუხარებით იუწყებიან, რომ პროფესორ ნოდარ ხადურს გარდაეცვალა დედა

**მანიჟან (მარინა) ლომიძე-ხადური**

და სამძიმარს უცხადებენ განსვენებულის ოჯახს.

**სამგლოვიარო განცხადებები მიიღება ყოველდღე, კვირის გარდა, 12–დან 17 საათამდე.**

# ახალი თაობა

Akhali-Taoba

გაზეთის ელექტრონული ვერსია ინტერნეტში:
http://www.opentext.ge/akhalitaoba


12 სექტემბრისთვის

## ქართული ლარის მიმართ უცხოური ვალუტების გაცვლითი კურსი

| | |
|---|---|
| აშშ დოლარი | — 2.598 |
| ევრო | — 3.0067 |
| ინგლისური გირვანქა სტერლინგი | — 3.3579 |
| 100 რუსული რუბლი | — 3.6879 |

## ამინდის პროგნოზი 12 სექტემბრისთვის




# გამარჯვებული „მის ამერიკა“ გამოვლინდა



სილამაზის კონკურსის „მის ამერიკა 2019“ გამარჯვებული ნია ფრანკლინი გახდა. კონკურსი ნიუ-ჯერსის შტატის ქალაქ ატლანტიკ-სიტიში ჩატარდა.

კონკურსში ფრანკლინი ნიუ-იორკის შტატს წარმოადგენდა, მიუხედავად იმისა, რომ ის ჩრდილოეთ კაროლინაშია დაბადებული. მშობლიურ შტატში გოგონამ „კომპოზიტორის“ სპეციალობით მაგისტრატურა დაამთავრა, რის შემდეგაც ნიუ-იორკში გადავიდა ოპერის მომღერლობაზე სწავლის გასაგრძელებლად. ფრანკლინმა აღიარა, რომ სწორედ მუსიკა დაეხმარა საკუთარი თავის პოვნაში.

— მე ვიზრდებოდი სკოლაში, სადაც ძირითადად თეთრკანიანები სწავლობდნენ, ხოლო უმცირესობა დაახლოებით ხუთ პროცენტს წარმოვადგენდით. თავს ყოველთვის უხერხულად ვგრძნობდი საკუთარი კანის ფერის გამო. თუმცა მოგვიანებით ხელოვნება და მუსიკა შემიყვარდა და ეს საკუთარი თავის პოვნაში დამეხმარა, — განაცხადა ახალმა „მის ამერიკამ“.

ჯილდოს სახით გოგონამ 50 ათასი დოლარის ოდენობის სტიპენდია მიიღო სწავლის გასაგრძელებლად. ფრანკლინის თქმით, მთელ მომდევნო წელს, როგორც „მის ამერიკას“ ტიტულის მფლობელი, იმაზე მუშაობას მიუძღვნის, რომ ყველა ბავშვს მიუწვდებოდეს ხელი ხელოვნების სფეროში ხარისხიანი განათლების მისაღებად.

**მოამზადა კახა ხატიაშვილმა**

# ექიმებმა კიმ კარდაშიანს სელფის გადაღება აუკრძალეს



ამერიკელი ტელევარსკვლავი კიმ კარდაშიანი ექიმების რჩევის შემდეგ თავისი საყვარელი სელფების გადაღებას ველარ შეძლებს, თუმცა ეს აკრძალვა დიდხანს არ გაგრძელდება.

საქმე ისაა, რომ მოდელმა მცირე ხნის წინ ხელი დაიზიანა და ექიმებმა დაჟინებით ურჩიეს, რომ ხელის მტევანი არ დაეძაბა და მასში ტელეფონი არ დაეჭირა. ამის თაობაზე კარდაშიანმა ტელე-შოუს „კარდაშიანების ოჯახი“ ახალ გამოშვებაში ისაუბრა.

თუმცა ის მაინც არ წყვეტს სურათების გადაღებას და საკუთარი თაყვანისმცემლების მისი ცხოვრების ახალი მომენტების დემონსტრირებით გახარებას. ამისთვის მან საკუთარ თანაშემწე „პაკსის“ სთხოვა, სურათების გადაღებაში დახმარებოდა.

— ეს იდეა დაეხმარება კიმს, სოციალურ ქსელებში ისეთივე აქტიური იყოს, როგორიც მანამდე იყო და ამავე დროს ხელიც მოირჩინოს, — განაცხადა ტელევარსკვლავის დედამ კრის ჯენერმა.

**მოამზადა კახა ხატიაშვილმა**

# თათია ახალაია ნიუ იორკის მოდის კვირეულში მონაწილეობს



იმიჯ ცენტრის მოდელი, ელიტ მოდელ ლუქ ჯორჯიას გამარჯვებული თათია ახალაია ნიუ იორკის მოდის კვირეულში სხვა ცნობილ მოდელებთან ერთად მონაწილეობს.

თათია დიდი ხანია უცხოეთშია და იქაურ სამოდელო ბიზნესში აქტიურად არის ჩართული. ქართველი მოდელი სხვადასხვა დიზაინერის რჩეული ხდება და მათი ახალი ნამუშევრები პოდიუმზე გამოაქვს.

ნიუ იორკის მოდის კვირეულის გახსნის პირველივე დღეს თათიამ ტადაში შოჯის ახალი კოლექციის გაზაფხული-ზაფხული 2019-ის ჩვენება გახსნა და კოლექციიდან სამი ულამაზესი ნამუშევარი მოირგო.

**მოამზადა ეკა ირემაშვილმა**

# იუმორი

სამსახურის დაწყების მსურველს ეკითხებიან:

— აგვიწერეთ თქვენი ადეკვატურობის ხარისხი.

— სელფებს არ ვიღებ.

— მიღებული ხართ!

●●●

განცხადება საბავშვო ბაღში:

— პატივცემულო მშობლებო! თუ შეიძლება არ დაიჯეროთ ყოველივე ის, რასაც თქვენი ბავშვი საბავშვო ბაღზე გიყვებათ! ჩვენი მხრიდან გპირდებით, რომ არ დავიჯერებთ იმ ყოველივეს, რასაც ბავშვები თქვენზე გვიყვებიან.

●●●

გოგო და ბიჭი აფთიაქში შედიან. გოგონა გამყიდველს ყოველგვარი მორიდების გარეშე, ხმამაღლა მიმართავს:

— როგორი პრეზერვატივები გაქვთ?

— აგერ იმ ვიტრინასთან მიდით და შეარჩიეთ.

ამ დროს ბიჭი გამყიდველს ჩურჩულით ეუბნება:

— და ძილის წამალიც, თუ შეიძლება.

●●●

თერაპევტი, ფსიქიატრი, ქირურგი და პათოლოგოანატომი იხვებზე სანადიროდ წავიდნენ, მაგრამ რადგანაც მხოლოდ ერთი თოფი ჰქონდათ, მოილაპარაკეს, რომ რიგ-რიგობით ესროლათ. პირველმა იარაღი თერაპევტმა აიღო.

ამ დროს იხვი აფრინდა. თერაპევტმა თოფი მოიმარჯვა, მაგრამ ამ დროს დაფიქრდა:

— ჰმ. ეს იხვია? იქნებ ფარშევანგია? ან იქნებ ბუ...???

სანამ ფიქრობდა, იხვი გაფრინდა.

ფსიქიატრის რიგი მოვიდა. აფრინდა იხვი. მან თოფი მოიმარჯვა, დაუმიზნა და... ფიქრობს:

— ეს იხვია, და მე ვიცი, რომ იხვია, მაგრამ მან იცის, რომ იხვია? აი ესაა საკითხავი!

სანამ ფიქრობდა, იხვი გაფრინდა.

თოფი ქირურგმა აიღო. აფრინდა თუ არა ჩიტი, ესროლა და ჩამოაგდო. შემდეგ კი პათოლოგოანატომს ეუბნება:

— მიდი ერთი ნახე, იხვია?!

**მოამზადა კახა ხატიაშვილმა**


# ბოაი



ჩინური მედიცინის ცენტრი და აფთიაქი

საუკეთესო ეფექტი მოკლე პერიოდში

— გულ-სისხლძარღვთა დაავადებები, კუჭ-ნაწლავის ტრაქტი, ღვიძლი, სასუნთქი სისტემა
— ნერვული სისტემა, ხერხემალი, სახსრები
— კანის დაავადებები
— უროლოგია
— გინეკოლოგია

მისამართი: ქ.თბილისი, დ.ყიფიანის ქ. №2
ტელეფონი: 2 47 91 12
10.00-19.00 სთ. შაბათ-კვირის ჩათვლით.




ანშენი ბუსინ ვან

უძილობა, არითმია, თავბრუსხვევა, ყურში შუილი, ნერვული გადაღლილობა




სიაო ჰუო ლუო დან

რევმატიზმი, სახსრების ტკივილი, მთლიანი სხეულის გამაჯანსაღებელი

არც ერთი წამალი არ შეიცავს ქიმიურ დანამატს

მისამართი: ქ.თბილისი, დ.ყიფიანის ქ. №2
ტელეფონი: 2 47 91 12. 10.00-19.00 სთ. შაბათ-კვირის ჩათვლით.


# დემნა გვასალია: „დაცინვა მოდაში პროფესიაა“



ქართველი დიზაინერი დემნა გვასალია უცხოური მედიისთვის საინტერესო რესპონდენტია. თავის მხრივ, დემნაც არ გაურბის ჟურნალისტებს და მათთან ნებისმიერ თემაზე საუბრობს.

**დემნა გვასალია:**

— 2014 წლიდან, რაც მე და ჩემმა ძმამ ვეტმო დავაარსეთ, მუდმივად თავდასხმებისა და კრიტიკის ცენტრში ვიყავით. ჩვენს კლიენტურას მუქარის წერილებს უგზავნიდნენ. გაავრცელეს ინფორმაცია, თითქოს გაყიდვები დავარდა. მთელი ცხოვრება ჩემს დისკრიმინაციას ცდილობდნენ ყველგან, პარიზშიც მებრძვიან, რადგან უცხოელი ვარ, რაღაცების განსხვავებულად კეთება მინდა, სიმახინჯე სილამაზედ წარმოვაჩინე და გაამართლა. ყველაფერმა ერთად მოიყარა თავი და მე აღარ ვაპირებ იგნორს. დაცინვა მოდაში პროფესიაა. მოდელები გადიან ამას, დიზაინერებიც გადიან. აღარ მინდა იმ ხალხის წესებით თამაში, რომლებიც ვერ ეგუებიან ფაქტს, რომ 80-იანები მორჩა. ჰკითხეთ ახალგაზრდა დიზაინერებს, როგორია სამსახურის შოვნა, რისი გაძლება უწევთ, ჩემი ჩათვლით! საჯაროდ მეტს ვერ ვისაუბრებ ამ თემაზე, მაგრამ, როცა შენთვის მნიშვნელოვან რაღაცებს ეხება საქმე, საკუთარ მეს, ეს ბიზნესი ძალიან ბინძურია. მე აღარ ვაპირებ რამის დათმობას.

***— ამბობენ, რომ ზოგჯერ საკუთარი საქმიანობის გრცხვენოდა, კვლავ ასეა?***

— არა, მას შემდეგ არა, რაც მიუჩია პრადა მესაუბრა. მან გამახსენა ის ადამიანები, რომლებსაც ვაღმერთებ, როგორც ხელოვანებს. ისინიც ამ საქმიანობით იყვნენ დაკავებული. პრადა ერთ-ერთი მათგანია.?აღსანიშნავია, რომ პრადასაც კარიერის დასაწყისში მოდაში სიმახინჯის ტრენდად ქცევას აბრალებდნენ. ალესანდრო მიკელემ პრესასთან ერთხელ სწორედ პრადას მაგალითის მოყვანით დამიცვა.

***— მეამბოხედ გთვლიან, თუმცა ჩვენ ახლა ციურიხის***

გაგრძელება მე-11 გვერდზე

# კროსვორდი ა

**შვეულად**: 1. საქართველოს კალათბურთელთა ნაკრების მწვრთნელი; 2. მძლავრი, ინტენსიური გამოსხივების კოსმოსური სხეული; 3. მოკლებეწვიანი მონადირე ძაღლის ჯიში; 4. ტვირთბრუნვით ყველაზე დიდი ნავსადგური ლიეტუვაში; 8. ბერ-მონაზონთა საეკლესიო და საადგილმამულო კომპლექსი; 9. მკვეთრად გამოხატული სხვაობა; 11. ხეობა კახეთში; 12. ფულის ერთეული იაპონიაში; 14. აეროპორტი პარიზში; 16. ერთგვაროვანი საგნების სისტემაში მოყვანილი კრებული; 17. ქართველი ესტრადის მომღერალი ქალი; 19. ავსტრიელი ექიმი-ფსიქიატრი, ფსიქოანალიზის ფუძემდებელი; 21. ფინური ელექტროტექნიკური კომპანია.

**თარაზულად**: 5. გერმანული ბულდოგი; 6. ჩაუკეტავი მრუდი, რომლის ყოველი წერტილი თანაბრად არის დაშორებული ფოკუსიდან; 7. ოთარ იოსელიანის მხატვრული ფილმი; 10. რკინიგზის ვაგზლის ბაქანი; 13. აეროპორტი ტოკიოში; 15. ბილიარდის ერთ-ერთი სახეობა; 18. ფრანგი იმპრესიონისტი მხატვარი; 20. ტკბილი კარტოფილი; 22. უმაღლესი ფარმაცევტული განათლების მქონე წამალთმცოდნე; 23. დიდი ზომის სარეკლამო პლაკატი; 24. ქართველი ძიუდოისტი, ოლიმპიური ჩემპიონი.

*შეადგინა თ.კოპალეიშვილმა*

